პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 86 (10783) | ხუთშაბათი, 11 აპრილი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

დ ღ ე ს  ნ ო მ ე რ შ ი ა:

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა გორკის, არზამასის, კიროვის ოლქების, მარეთის, მორდვეთისა და ჩუვაშეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე 1957 წლის 8 აპრილს ქალაქ გორკში (1-ლი და მე-2 გვერდი).

ჩვენ მხარს ვუჭერთ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს სახელმწიფო სისხების დარგში. — ქარხანა „კრასნოე სორმოვოს“ შემდუღებლის ამხ. გოლუბევას სიტყვა ამ ქარხნის მუშათა მიტინგზე 1957 წლის 5 აპრილს (მე-3 გვერდი).

დადგენილება გორკის საავტომობილო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა მიტინგისა (მე-3 გვერდი).

დადგენილება რუსეთის სფსრ გორკის, არზამასის, კიროვის ოლქებისა და მარეთის, მორდვეთისა და ჩუვაშეთის ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირისა (მე-3 გვერდი).

რეზოლუცია ქალაქ გორკის მშრომელთა მიტინგისა, რომელიც გაიმართა 1957 წლის 8 აპრილს (მე-3 გვერდი).

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის საკითხის საყოველთაო-სახალხო განხილვა (მე-3 გვერდი).

გ. ზუკაკიშვილი. — სამგორული შეფიქრებები (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

## გორკის, არზამასის, კიროვის ოლქების, მარეთის, მორდვეთისა და ჩუვაშეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე 1957 წლის 8 აპრილს ქალაქ გორკში

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ ჯერ პასუხი გავცე რამდენიმე შეკითხვაზე.

თათბირის მონაწილეთა ჯგუფი კითხულობს: „მოწვეული იქნება თუ არა კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობა?“ კითხვა სწორად არის დასმული. ჩვენ გვქონდა აზრთა გაზიარება პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობაში და მივიჩნიეთ, რომ ასეთი ყრილობის მოწვევა სასარგებლოა. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნდა, რომ არ ღირს აჩქარება ყრილობის მოწვევაში. უნდა განგვემტკიცებინა კოლმეურნეობები, აგვემაღლებინა მათი ეკონომიკა. ვფიქრობ, ახლა ჩვენ ამ მიზანს რამდენადმე მივაღწიეთ და, მაშასადამე, შეიძლება მოვიწვიოთ კოლმეურნეთა ყრილობა. ჩვენ ერთხელ კიდევ მოგვიხდება აზრთა გაზიარება ამ საკითხზე და, შესაძლოა, მიმდინარე წლის დამლევს ან მომავალი წლის დამდეგს ყრილობის მოწვევის საკითხი გადაწყდეს.

შემოვიდა ასეთი შეკითხვაც: „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებით, როგორც ეს გათვალისწინებულია თქვენი მოხსენების თეზისებში, ხომ არ უნდა გადაიჭრას ამავე დროს საკითხი მთელი რიგი ოლქების, მაგალითად, გორკისა და არზამასის ოლქების გაერთიანების შესახებ?“ **(ტაში).**

რას ფიქრობენ არზამასელები და გორკელები? **(ტაში).**

საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ დაწერა ეს ბარათი, გორკელებმა თუ არზამასელებმა? **ხმები ადგილიდან:** არზამასელებმა.

ამხანაგო არზამასელებო, როგორ ფიქრობთ, სასარგებლოა თუ არა ასეთი გაერთიანება?

**ხმები:** სასარგებლოა.

გორკელებს როგორღა მიაჩნიათ?

**ხმები:** სასარგებლოა.

როგორც ჩანს, ამ ორი ოლქის გაერთიანების აზრი მომწიფდა და იგი სწორია. **(ტაში).** ახლა კოლმეურნეობები განმტკიცდნენ, კადრები შერჩეულია უკეთესი, ვიდრე წინათ იყო, ეკონომიკა საგრძნობლად გაიზარდა. ამიტომ ახლა ამ ოლქების გაერთიანება და ადმინისტრაციული აპარატის შემცირება სასარგებლო როლს შეასრულებდა. იგი საშუალებას მოგვცემდა უკეთ განგვემტკიცებინა რაიონული ორგანიზაციები და განსაკუთრებით კოლმეურნეობები გამოცდილი ხელმძღვანელებით და სახსრების გარკვეულ ეკონომიას მოგვცემდა.

ბოლოს, მესამე კითხვა. იგი შემოიტანა პავლე მიხეილის-ძე დიომინმა — ბოგოროდსკის რაიონის კოლმეურნეობა „ისკრის“ თავმჯდომარემ, როცა ჩვენ ამხ. იგნატოვთან და გორკის ოლქის სხვა ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად ვიყავით კოლმეურნეობაში, ვეცნობოდით მეურნეობას. პავლე მიხეილის-ძემ იკითხა, როგორ უნდა შეფასდნენ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი, რა არის მთავარი, მაგალითად, რძის მხრივ — ძროხის წველადობა თუ რძის რაოდენობა, მიღებული 100 ჰექტარ მიწაზე?

მე ვუპასუხე მას: რა თქმა უნდა, პროდუქტების წარმოება 100 ჰექტარ მიწაზე. მაშინ მან თქვა: რატომღა ჩამოართვეს ჩვენს კოლმეურნეობას გარდამავალი დროშა? ერთი სიტყვით, პავლე მიხეილის-ძე ეშმაკურად იძლეოდა კითხვას **(სიცილი):** ვითომდა განყენებულად დააყენა იგი, თვითონ კი ამავე დროს უნდოდა დავა გადაეჭრა. და ამრიგად მეც ჩამითრია ამ საქმეში. გინდა თუ არა, არბიტრი იყავიო.

აი მეც ვიტყვი ჩემს აზრს. მაგრამ ჯერ შევადარებ შედეგებს, რომლებსაც ორმა კოლმეურნეობამ მიაღწია. კოლმეურნეობა „ისკრა“ და კოლმეურნეობა „კრესტიანინი“ ერთ რაიონში მდებარეობენ. 100 ჰექტარ მიწაზე კოლმეურნეობა „ისკრაში“ 1956 წელს მიიღეს 358 ცენტნერი რძე, ხოლო კოლმეურნეობა „კრესტიანინში“ — ესეც კარგი კოლმეურნეობაა — 323 ცენტნერი, სახელმწიფოს რძე მიეყიდა 100 ჰექტარ მიწაზე გაანგარიშებით: კოლმეურნეობა „ისკრაში“ — 157 ცენტნერი, კოლმეურნეობა „კრესტიანინში“ — 134 ცენტნერი. ერთ ძროხაზე რძე მიღებულია პირველ კოლმეურნეობაში 3.780 კილოგრამი, მეორეში — 4.082 კილოგრამი, ესე იგი მეტი. ერთ ძროხაზე მოწველილია მიმდინარე სამეურნეო წლის ექვს თვეში კოლმეურნეობა „ისკრაში“ 1.767 კილოგრამი, კოლმეურნეობა „კრესტიანინში“ — 1.878 კილოგრამი. 100 ჰექტარ მიწაზე მიმდინარე სამეურნეო წლის ექვს თვეში რძე წარმოებულია პირველ მეურნეობაში 170 ცენტნერი, მეორეში — 148 ცენტნერი. 100 ჰექტარ მიწაზე ძროხები მოდის შესაბამისად 9,9 და 8,5. სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა ხორცი 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გაანგარიშებით კოლმეურნეობა „ისკრაში“ 37,2 ცენტნერი, კოლმეურნეობა „კრესტიანინში“ — 29,4 ცენტნერი.

ვინ გაიმარჯვა? მე მგონია, კოლმეურნეობა „ისკრამ“. საოლქო ორგანიზაციებმა კი გარდამავალი დროშა მიაკუთვნეს კოლმეურნეობა „კრესტიანინს“. რა თქმა უნდა, სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ ორივე კოლმეურნეობა კარგია. როგორც ჩანს, მათი თავმჯდომარეებიც კარგები არიან. ჩვენ შესაძლებლობა არ გვქონდა გავცნობოდით კოლმეურნეობა „კრესტიანინის“ თავმჯდომარეს ამხ. კუზნეცოვს, მაგრამ რაკი მას ასეთი წარმატებები აქვს, მაშასადამე, კაცმა იცის საქმე, შეუძლია ადამიანების დარაზმვა. **(ტაში).**

მაგრამ მაინც უპირატესობა კოლმეურნეობა „ისკრას“ უნდა მივცეთ. წინათ, როგორც ცნობილია, ჩვენში ჯილდო ეძლეოდა იმას, ვინც მეტ რძეს მიიღებდა ძროხაზე. ხოლო რძის წარმოებას 100 ჰექტარზე ანგარიშში არ იღებდნენ. შეიძლება კოლმეურნეობაში გვყავდეს ათი ძროხა, მათზე იხარჯებოდეს მთელი საკვები და თვითეულ ძროხაზე ვიღებდეთ რძეს 5-6 და 7 ათას კილოგრამსაც კი, მაგრამ შეიძლება ათის ნაცვლად გვყავდეს ასი ძროხა, წველადობა რამდენადმე ნაკლები იყოს, ხოლო სახელმწიფოს გაცილებით მეტ რძეს ვაძლევდეთ. საკითხავია, ვინ მოიპოვა პირველობა? იმან, ვისაც მეტი პირუტყვი ჰყავს და 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე გაანგარიშებით მეტ რძეს აწარმოებს.

**ხმები:** სწორია. **(ტაში).**

ჩვენ უნდა ვიყოთ მტკიცენი და პრინციპულნი. ვფიქრობ, სწორად გამიგებენ არტელ „კრესტიანინის“ კოლმეურნეები და კიდევ უფრო მეტად დარაზმავენ თავიანთ ძალებს. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი წარმატებით შეეჯიბრებიან კოლმეურნეობა „ისკრას“.

ამხანაგებო! თათბირმა, რომელიც თქვენთან გაიმართა, ცხადყო აქ წარმოდგენილი ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ძალიან დიდი შესაძლებლობანი. მოსკოვში ბევრ ამხანაგს, და არა მარტო მოსკოვში, არამედ ზოგიერთ თქვენგანსაც შექმნილი აქვს აზრი, თითქოს თქვენი მხარე, თქვენი საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები მდებარეობენ ნაკლებად ხელსაყრელ გეოგრაფიულ პირობებში და ნიადაგისა და ჰავის ისეთი პირობები აქვთ, რომ არ შეუძლიათ თავი წამოსწიონ, მით უმეტეს შეეჯიბრონ სხვა რესპუბლიკებსა და ოლქებს.

ეს პოზიცია სავსებით მცდარია და, რაც მთავარია, არაფრით არ არის დასაბუთებული. განა ცუდია თქვენი ადგილები? თქვენში ნიადაგისა და ჰავის პირობები ისეთია, რომ შეგიძლიათ შეეჯიბროთ ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონს და გაიმარჯვოთ შეჯიბრებაში.

თქვენ არ იცით, რა არის გვალვა და არ განგიცდიათ იგი ისე, როგორც განუცდია ზოგიერთ სამხრეთ რაიონს. ნუ უჩივით თქვენს მიწას, იამაყეთ ამ მიწით და თუ მას უფრო გონივრულად მოეპყრობით, მაშინ სწრაფად აამაღლებთ თქვენს კოლმეურნეობებს, რაიონებს, ოლქებსა და რესპუბლიკებს. **(ტაში).**

მართლაც, შეხედეთ, რას იძლევა თქვენს პირობებში მიწა, თუ მზრუნველად მოეპყრობით მას. თქვენში არის კოლმეურნეობები, რომლებიც მაჩვენებლებით უკეთესია სამხრეთის კოლმეურნეობებზე, რომლებიც მოწინავეებად ითვლებიან ჩვენს ქვეყანაში. ნება მიბოძეთ შევადარო თქვენი კოლმეურნეობები სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობა „როსიას“. ვის არ გაუგონია ამ კოლმეურნეობის სახელი! მასზე დაწერილია ბევრი სტატია და წიგნი. ეს მართლაც კარგი კოლმეურნეობაა, მას მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს. მაგრამ განა მას ჩამორჩება ჩუვაშეთის ასსრ ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. ისიც ნამდვილად სახელგანთქმული კოლმეურნეობაა, ან გორკის ოლქის კოლმეურნეობა „ისკრა“, რომელიც ჯერ კიდევ ნაკლებად არის ცნობილი, და სხვები.

ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე კოლმეურნეობა „როსია“ აწარმოებს 21,8 ცენტნერ ხორცს, ლენინის სახელობის კოლმეურნეობა — 29,1 ცენტნერს, კოლმეურნეობა „ისკრა“ — 20,2 ცენტნერს, აქედან ღორის ხორცი ას ჰექტარ სახნავზე კოლმეურნეობა „როსიამ“ მიიღო 12,9 ცენტნერი, ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ — 23,8 ცენტნერი, კოლმეურნეობა „ისკრამ“ — 10,9 ცენტნერი.

რძის მიხედვით შესადარებელიც არაფერია. კოლმეურნეობა „როსიას“ აქვს 87 ცენტნერი ას ჰექტარ მიწაზე, ლენინის სახელობის კოლმეურნეობას — 230 ცენტნერი, ხოლო კოლმეურნეობა „ისკრას“ — 358 ცენტნერი. რძე თითო ძროხაზე მიღებულია კოლმეურნეობა „როსიაში“ 2.875 კილოგრამი, ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში — 3.316 კილოგრამი, კოლმეურნეობა „ისკრაში“ — 3.780 კილოგრამი. კოლმეურნეობა „როსიას“ ას ჰექტარზე ჰყავს 3,5 ძროხა, ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობას — 8 ძროხა, კოლმეურნეობა „ისკრას“ — 9,9 ძროხა. ფულადი შემოსავალი ერთ ჰექტარ მიწაზე არის კოლმეურნეობა „როსიაში“ — 1.190 მანეთი, ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში — 1.900 მანეთი და კოლმეურნეობა „ისკრაში“ — 1.280 მანეთი.

რას მოწმობს ეს? იმას, რომ თუ თქვენს ზონაში თვითეულ კოლმეურნეობას სათავეში ეყოლება კარგი, გამოცდილი ორგანიზატორი, თუ სწორად, გონივრულად გაუძღვებით სოფლის მეურნეობას, თქვენ შეგიძლიათ შეეჯიბროთ ჩვენი ქვეყნის ყოველ კოლმეურნეობას და გაიმარჯვოთ. **(ტაში).**

კოლოსალური შესაძლებლობებია თქვენს რაიონებში. თუ ჩვენ ყველა კოლმეურნეობას წამოვწევთ საუკეთესოთა დონემდე, ჩვენს ქვეყანაში იქნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უდიდესი ზრდა. მართლაც, ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც თავმჯდომარეა ამხ. კოროტკოვი, ოც წელიწადში ნათესის მთელ ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 18 ცენტნერი მარცვლეული და კლიმატური პირობების მხრივ უაღრესად არახელსაყრელ 1956 წელსაც კი ჰექტარზე მიიღო 16,3 ცენტნერი მარცვლეული, ჩუვაშეთის რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა კი მიიღეს მხოლოდ 8,2 ცენტნერი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის ღეროებისა და ტაროს მოსავალი შეადგენდა 833 ცენტნერს ჰექტარზე, ხოლო ჩუვაშეთის რესპუბლიკაში საშუალოდ — 91 ცენტნერს. ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ კარტოფილი აიღო 207 ცენტნერი, ხოლო ჩუვაშეთის რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა მთლიანად მიიღეს 104 ცენტნერი ჰექტარზე. რძე მიღებულია შესაბამისად 3.316 და 1.359 კილოგრამი თითო ძროხაზე. ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე რძე მიღებულია 230 ცენტნერი, ხოლო რესპუბლიკაში — 50 ცენტნერი, ხორცი საკლავი წონით შესაბამისად — 29,1 და 9,4 ცენტნერი.

კოლმეურნეობის წარმატება მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება მიწის უნარიანი გამოყენებით. კოლმეურნეობაში არ არის არც ერთი ჰექტარი სუფთა ანეული. მოთესილ ანეულზე მიღებულია შემდეგი მოსავალი: სიმინდის მწვანე მასა — 461 ცენტნერი ჰექტარზე, კარტოფილი — 200 ცენტნერზე მეტი, მუხუდო — 11,4 ცენტნერი ჰექტარზე და სხვ. დამახასიათებელია, რომ ჭვავის მოსავალმა მოთესილ ანეულზე შეადგინა 20 ცენტნერი ჰექტარზე. ძალიან კარგია! ამაში დიდია ამხ. კოროტკოვის დამსახურება. იგი ჭკვიანი კაცია, იმარჯვებს ჭკუით და არა ჯაფით. სხვებიც ხომ ნაკლებს არ შრომობენ, მაგრამ შედეგები უფრო დაბალი აქვთ, იმიტომ რომ ცუდად იცნობენ თავიანთ საქმეს, ცუდად იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს. აქედან უნდა გავაკეთოთ სწორი დასკვნები, გონივრულად ვაწარმოოთ მეურნეობა.

ამხანაგებო! ახლა ჩვენ განსაკუთრებით მწვავედ ვაყენებთ ხორცის საკითხს. პური ჩვენ გვაქვს და გვექნება. ყამირი მიწები დიდად დაგვეხმარა. შეიძლებოდა თუ არა ყამირი მიწების უქონლად გაგვედიდებინა მარცვლეულის წარმოება საჭირო ოდენობით? შეიძლებოდა! მაგრამ ამისათვის საჭირო იქნებოდა ძალიან დიდი დრო და ბევრი სახსრები. საჭირო იყო აგვემაღლებინა მიწათმოქმედების კულტურა, რათა ერთიორად-ერთისამად გაგვედიდებინა მოსავალი. მაგრამ ამას ერთორ წელიწადში ვერ მიაღწევ. სწორია, რომ მიწათმოქმედების კულტურა მაღლდება სოფლის მეურნეობაში მომუშავე ადამიანთა კულტურის ამაღლებასთან ერთად. მაგრამ უნდა იზრდებოდეს აგრეთვე მატერიალური შესაძლებლობანი მისი ამაღლებისათვის. უნდა ავაშენოთ ქარხნები, მივცეთ სოფლის მეურნეობას მინერალური სასუქი. ძალიან ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ვაიძულოთ მიწა იძლეოდეს იმდენს, რამდენსაც იგი იძლევა ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ან ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში, რომლის აგრონომი ამხ. ვასილიევა აქ გამოვიდა. ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა მხარდამხარ მოჰყვება თქვენს კოლმეურნეობას, ამხ. კოროტკოვ, ხოლო ზოგიერთი მაჩვენებლით უკვე გაგისწროთ.

შემდგომაც განვავითარებთ რა მარცვლეულის წარმოებას, გავადიდებთ რა მოსავლიანობას, ჩვენ ამავე დროს პირველ პლანზე უნდა დავაყენოთ ხორცისა და რძის წარმოების გადიდება, რათა სავსებით დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებანი მეცხოველეობის პროდუქტებზე.

ბევრი ამხანაგი კარგად გამოვიდა ამ თათბირზე. მართალია, ყველა ვერ გამოვიდა. ზოგიერთმა თეზისები მოამზადა, სიტყვის წარმოთქმა კი ვერ მოასწრო. ამაზე ნუ სწუხართ: თუ აქ ვერ გამოხვედით, გამოდით თქვენს მინდვრებზე, რათა სახელი მოიხვეჭოთ არა მარტო ტრიბუნაზე, არამედ მინდვრებშიც, რათა თქვენზე ფიქრობდნენ შორს თქვენი სოფლების ფარგლებს გარეთ, რათა თქვენზე ალაპარაკდეს პრესა.

საჭიროა გამოვიყენოთ თვითეული კოლმეურნეობის თავისებურებანი რძისა და ხორცის წარმოების ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის. ხშირად, როდესაც ერთი კაცი უსიამოვნებას მიაყენებს მეორეს, ხალხში ამბობენ: „ღორი მიუგდოო“. ხომ არ შეიძლება ცოტა გავაუმჯობესოთ ეს ანდაზა, რათა იგი გამოხატავდეს კარგ საწყისს.

კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა თვითეულ საბჭოთა ადამიანზე გაანგარიშებით ორ-ორი ღორი რომ გაასუქონ, ეს დიდი გამარჯვება იქნება. **(ტაში).** მაშინ ღორის ხორცი იმდენი გვექნებოდა, რამდენიც საჭიროა. და ანდაზასაც სხვანაირი გაგება მიეცემოდა. თქვენ ღორს მიუგდებდით, და ეს კეთილშობილურად ჩაგეთვლებოდათ. მე სწორედ ამ კეთილშობილებისაკენ მოგიწოდებთ: რაც შეიძლება მეტი ღორი გაზარდეთ, რაც შეიძლება მეტი ღორის ხორცი, ძროხის ხორცი, რძე, კარაქი, რძის პროდუქტები, მატყლი მიეცით სახელმწიფოს.

მაგრამ ხორცისა და რძის წარმოების გადიდების ამოცანას ჯერ კიდევ ცუდად წყვეტენ თქვენს რაიონებში. კიროვის ოლქის კოლმეურნეობებმა გაასუქეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს სულ 144 ათასი ღორი 64 კილოგრამი საშუალო წონით. მაგრამ ეს ხომ ყველაზე არახელსაყრელი წონაა გასაყიდად. თქვენ ხომ არსებითად გოჭებს აბარებთ, ამხანაგო კიროველებო. ეს კი ხელსაყრელი არ არის, ზარალს აყენებს კოლმეურნეობას. აიყვანეთ ჩასაბარებელი ღორების წონა 90-110 კილოგრამამდე, და მაშინ მკვეთრად გადიდდება კოლმეურნეობათა შემოსავალი მეღორეობისაგან, რაც ხელსაყრელი იქნება როგორც სახელმწიფოსათვის, ისე კოლმეურნეობებისათვის.

კიროვის ოლქში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მეცხვარეობას. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აქ ცხვრის სულადობა შემცირდა. ეს არ არის სწორი.

მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ხორცის წარმოების გადიდების კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან რეზერვს. სახელმწიფოს ძალიან ბევრს აბარებენ და ჰყიდიან მცირე სიმსუქნის პირუტყვს. ეს დანაკარგია და თანაც დიდი დანაკარგი. ამით ზარალს აყენებენ სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების ინტერესებს. საჭიროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ამ საკითხს, კონტროლი გავუწიოთ დამამზადებელ პუნქტებში ჩასაბარებელი პირუტყვის ხარისხს.

მე ვილაპარაკე ხორცის წარმოების გადიდების უდიდეს შესაძლებლობებზე, მაგრამ ჩვენ არანაკლები პირობები გვაქვს აგრეთვე რძის წარმოების ზრდისათვის. ამ საქმეში მიღწეულია გარკვეული დადებითი შედეგები. აქ წარმოდგენილმა ოლქებმა და რესპუბლიკებმა რძის წარმოება გაადიდეს. გორკის ოლქმა 1956 წელს თითო ძროხაზე მიიღო 1.784 კილოგრამი რძე. წლის განმავლობაში წველადობა გადიდდა 612 კილოგრამით. 1953 წელს კი თითო ძროხაზე მიღებული იყო მხოლოდ 927 კილოგრამი.

არზამასის ოლქის კოლმეურნეობებმა თითო ძროხაზე მიიღეს 1.796 კილოგრამი რძე. მათ ცოტათი გადააჭარბეს გორკელებს წველადობის მატებით, რომელიც 684 კილოგრამს შეადგენს.

მორდვეთის ასს რესპუბლიკაში თითო ძროხაზე მიღებულია 1.778 კილოგრამი რძე, ხოლო მატება წლის განმავლობაში შეადგენს 697 კილოგრამს. ეს, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდი მატებაა თქვენს რაიონებს შორის.

წველადობა კიროვის ოლქში შეადგენს 1.480 კილოგრამს ძროხაზე, მატება უდრის 375 კილოგრამს, ე. ი. თითქმის ორჯერ ნაკლებია, ვიდრე გორკელებსა და არზამასელებს აქვთ. ცოტაა, ძალიან ცოტაა! მარეთის ასს რესპუბლიკაში წველადობა თვითეულ ძროხაზე წლის განმავლობაში გადიდდა 316 კილოგრამით. ესეც ცოტაა. დაბალია წველადობა ჩუვაშეთის რესპუბლიკაში.

რა თქმა უნდა, მიღწეული შედეგები ვერ დაგვაკმაყოფილებს. საჭიროა ამოცანად დავისახოთ, რომ თვითეული ძროხის წველადობა ავიყვანოთ სულ ცოტა სამი ათას კილოგრამამდე. ეს სავსებით შესაძლებელია.

რძის წარმოებას ვერ გავადიდებთ, თუ კოლმეურნეობებში ცოტა ძროხა იქნება. რა მდგომარეობაა თქვენთან? ერთი წლის განმავლობაში ძროხის რაოდენობა გორკის, არზამასისა და კიროვის ოლქების და ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში თითქმის არ გადიდებულა. ისინი თითქოს შეთანხმდნენ არ გაუსწრონ ერთმანეთს.

ამხანაგებო! მე არაერთხელ მითქვამს, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ამოცანა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი საკვები აქვთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამ თათბირზეც მინდა ვთქვა ამის შესახებ. საკვებ კულტურებს შორის ჩვენ გვაქვს ორი, რომლებიც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, — სიმინდი და კარტოფილი. პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ, რა თქმა უნდა, სიმინდი, შემდეგ კარტოფილი. არას ვამბობ სხვა კულტურებზე, ისეთებზე, როგორიც არის ცერცველა — შერიის ნარევი, სამყურა ტიმოთელათი, ტკბილი ხანჭკოლა და სხვები. ისინი უნდა მოვიყვანოთ ფართო მასშტაბით. მაგრამ მთავარი წამყვანი საკვები კულტურა, როგორც ჩანს, მაინც უნდა იყოს სიმინდი, აგრეთვე კარტოფილი.

მოვა თქვენში სიმინდი თუ არა? აქ უკვე ბევრი ამხანაგი გამოვიდა და დადებითი პასუხი მოგვცა. ავიღოთ არზამასის ოლქის კოლმეურნეობა „ოქტომბრის 12 წლისთავი“. 1956 წელს მას 100 ჰექტარი სიმინდი ჰქონდა დათესილი. ჰექტარზე 588 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა მოვიდა, არზამასის ოლქში კი მოსავლიანობა რამდენჯერმე ნაკლებია.

გორკის ოლქის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ 40 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 380 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. კიროვის ოლქის კოლმეურნეობა „პოლიტოტდელეცმა“ 130 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 350 ცენტნერი მიიღო. მარეთის ასსრ კოლმეურნეობამ „კომუნიზმისათვის“ 33 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 638 ცენტნერი სიმინდი. ჩუვაშეთის ასსრ ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ 115 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე აიღო 631 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა.

მაგრამ ჩვენში ცოტა როდია ისეთი კოლმეურნეობებიც, რომლებსაც მცირე მოსავალი მოჰყავთ. მე მიმაჩნია, რომ ვინც არ იცის როგორ მოიყვანოს სიმინდი, უმჯობესია არ დათესოს იგი დიდ ფართობებზე, არ გაუტეხოს სახელი ამ შესანიშნავ კულტურას.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ თვითდინებას უნდა მივანდოთ სიმინდის მოყვანის საქმე? არა, არ შეიძლება დავუშვათ თვითდინება. მაშ როგორ მოვიქცეთ? შეიძლება ასე მოვიქცეთ: ავიღოთ კოლმეურნეობები, რომლებმაც უკვე ისწავლეს სიმინდის მოყვანა, შევისწავლოთ, როგორ თესლს თესავენ ისინი, რა ფართობებზე, როგორ ამზადებენ ნიადაგს, რა სიღრმეზე თესავენ თესლს, როგორ აპატივებენ მიწას. ამხანაგებო, ყოველივე ეს უნდა შევისწავლოთ და გავაცნოთ იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებსაც ჯერ კიდევ მცირე მოსავალი მოჰყავთ.

ყველას ვერ მოვთხოვთ აგრონომის, ზოოტექნიკოსის, ვეტექიმის ან ინჟინრის ცოდნას, მაგრამ ხელმძღვანელს საქმე უნდა ესმოდეს და, რაც მთავარია, იგი მოვალეა შეეძლოს დარაზმოს ადამიანები, მოაწყოს მუშაობა. ჩვენ, ხელმძღვანელები, ყველაფერზე ვაგებთ პასუხს. ამიტომ ჩვენ უნდა ვერკვეოდეთ ყველაფერში, შეგვეძლოს გავარჩიოთ, რა არის სწორი და რა არ არის სწორი, რა არის სიკეთე, რა არის ბოროტება, მხარი დავუჭიროთ კარგს და დავეხმაროთ ამ კარგს დაძლიოს ცუდი.

ხელმძღვანელმა საქმე უნდა იცოდეს. აქ სწორად ილაპარაკეს ერთ რაიკომის მდივანზე, რომელმაც არ იცის, რამდენ დღეს ზის კრუხი კვერცხებზე, წიწილები რომ გამოჩეკოს. ამხანაგი დამსგავსებია იმ უბადრუკ ინტელიგენტს, რომელიც ამბობს: „ფუ, ძროხის სუნია“ და ცხვირი განზე მიაქვს, მაგრამ ხბოს ხორცს მიირთმევს, თუმცა არ იცის, საიდან ჩნდება ხბო. **(სიცილი).**

ჩვენ — მუშათა, კოლმეურნეთა წრიდან, მშრომელი ინტელიგენციის წრიდან გამოსულ მუშა ადამიანებს, არ შეგვიძლია უკადრისად ვიყოთ და ვამბობდეთ, სოფლის სამუშაო ჭუჭყიანი სამუშაოაო. არა, ამხანაგებო, ეს ისეთი სამუშაოა, რომელიც ამდიდრებს ადამიანს. იგი პატივისცემის, ღრმა აღიარების ღირსია. სოფლის რაიონში უნდა ვიცოდეთ, რომ თუ კრუხი კვერცხებზე ზის, მეოცე-ოცდამეერთე დღეს წიწილები გამოიჩეკებიან. თუ ეს არ იცით, ჰკითხეთ ბებიათქვენს, ის გეტყვით. **(სიცილი, ტაში).**

წინათ ოლქების მუშაობის შედეგების შეფასებისას უკვე ვილაპარაკე იმაზე, რომ თქვენ სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანის დიდი შესაძლებლობები გაქვთ. კიდევ მინდა შევჩერდე ამ საკითხზე. როცა საჭირო იყო, პარტია გმირობისათვის მოუწოდებდა ჩვენს სახელოვან ახალგაზრდობას. მოდით ახლაც მოვუწოდოთ კომკავშირს, სოფლის ახალგაზრდა მშრომელებს — მოიყვანონ სიმინდი. მართალია, მათ ხანში შესულ კოლმეურნეებზე ნაკლები გამოცდილება აქვთ, მაგრამ სამაგიეროდ მეტი სიფიცხე აქვთ. ახალგაზრდობას მეტი ღონისძიებები დასჭირდება, მაგრამ იგი თავისას გაიტანს. ახალგაზრდობას დიდი ენერგია აქვს, ცოდნას კი პრაქტიკული მუშაობით შეიძენს. თუ ახალგაზრდული რგოლები დიდ ფართობებზე ვერ აითვისებენ სიმინდს, ცოტა მაინც აიღონ, 1-2 ჰექტარი, კარგად დაამუშაონ ნიადაგი, კარგად დათესონ. მაშინ ისეთი სიმინდი მოვა, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რომელსაც არა სწამს სიმინდი, შიგ გზა დაებნევა. **(ტაში, სიცილი).**

მე გირჩევთ თქვენ ყველას ხელით თესოთ სიმინდი. თქვენში ყველაზე დიდი ფართობებიც კი უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რომლებსაც სამხრეთში თესავენ: იქ კოლმეურნეობები ათასობით ჰექტარს თესავენ, თქვენ კი ჯერჯერობით ასობით ჰექტარს ანგარიშობთ. დათესეთ 200-300 ჰექტარი ხელით, მაგრამ დათესეთ ჭკუით, დაკვალეთ მინდორი და შეიტანეთ სასუქი. აქ გამოვიდა აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო. მან თქვა, რომ ღრმულში უნდა ჩაიდოს ორი-სამი მარცვალი და შემდეგ ერთი პეშვი დამწვარი ნაკელი. თუ დამწვარი არა გაქვთ, ჩადეთ ჩვეულებრივი, შემდეგ დაამუშავეთ ნათესი, აუცილებლად შემოაყარეთ მიწა, და მოსავალი უხვი იქნება.

უკრაინელები და ყუბანელები მარცვალს 10 სანტიმეტრამდე სიღრმეზე თესავენ, იმიტომ რომ იმ დროისათვის, როცა ნიადაგი სათესად მომწიფდება, მიწის ზედა ფენა გამომხმარია. უფრო ღრმად უნდა ვთესოთ, რომ თესლი ტენიან მიწაში ჩავთესოთ. თქვენში, როგორც ჩანს, 4 სანტიმეტრზე უნდა ჩაითესოს. თუ კარგად ვიზრუნებთ სიმინდისათვის, არ შეიძლება იგი არ გაიზარდოს.

თქვენ გაქვთ იმის რეზერვები, რომ გაადიდოთ კარტოფილის წარმოება. გორკის ოლქის ტიმირიაზევის სახელობის კოლმეურნეობამ ჰექტარზე 250 ცენტნერი კარტოფილი მოიყვანა, არზამასის ოლქის კოლმეურნეობა „ისკრამ“ — 302 ცენტნერი, კიროვის ოლქის კოლმეურნეობა „კრასნი ოქტიაბრმა“ — 218 ცენტნერი, ჩუვაშეთის ასსრ ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ — 232 ცენტნერი, მორდვეთის ასსრ ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობამ — 189, მარეთის ასსრ რადუგინის სახელობის კოლმეურნეობამ — 225 ცენტნერი და სხვ.

კარტოფილი, რა თქმა უნდა, კვადრატულ-ბუდობრივი წესით უნდა დაითესოს. ხოლო ჩვენში არის ზოგიერთი ამხანაგი, რომელიც ამჯობინებს მწკრივად თესვას. აი ბოგოროდსკის რაიონის კოლმეურნეობა „ისკრაში“, სადაც ჩვენ ვიყავით, აგრეთვე ემხრობიან ძველ წესს. არტელის თავმჯდომარე პ. მ. დიომინი კრებებზე თითქოს ხმას აძლევს კვადრატულ-ბუდობრივ წესს, ხოლო შინ რომ ბრუნდება, მწკრივად თესავს. კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივად თესვა ჩემი მოგონილი როდია. მოსკოვის ოლქის სერპუხოვის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ამ წესით კარტოფილის თესვა დაიწყო ჯერ კიდევ ომის დროს, როცა მუშა ხელი არა ჰყავდა. 1943 წელს ამ წესით დათესვისას მან 250 ცენტნერი კარტოფილი მიიღო ჰექტარზე. მე შემდეგ შევიტყე ეს და მოვაწონე კარტოფილის რგვის მათი წესი.

გუშინ ტ. დ. ლისენკო ამბობდა, რომ მისი წესით თუ შევიტანთ სასუქს, ორგანულისა და მინერალურის ნარევს და რგვის დროს ნიადაგში მოვაქცევთ კარტოფილსათესის დისკოებით, ზედაპირზე თითქოს ჩნდება ჰუმუსის ფენა და იქმნება კარგი საკვები არე ტუბერებისათვის. მე ვეთანხმები

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

## გორკის, არზამასის, კიროვის ოლქების, მარეთის, მორდვეთისა და ჩუვაშეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე 1957 წლის 8 აპრილს ქალაქ გორკში

(დასასრული)

ამას და ხმას ვაძლევ ტროფიმე დენისის-ძის წინადადებას.

აქ გამოვიდა აგრონომი ამხ. ვასილიევა. მან აღძრა საკითხი სიმინდისა და კარტოფილისათვის კვადრატების ოდენობის შესახებ. საიდან გაჩნდა კვადრატი 70X70 სანტიმეტრზე? მე აგიხსნით ამ საიდუმლოებას. კვადრატი 70X70 გაჩნდა იმიტომ, რომ ჩვენ მწკრივად სათესი კარტოფილსარგავები ყველა 70 სანტიმეტრი მწკრივთაშორისებით გვქონდა. აი რა მეცნიერული დასაბუთებაა აქ. (გამოცოცხლება დარბაზში).

მე ვფიქრობ, რომ კარტოფილისათვის შეიძლებოდა შეგვემცირებინა კვადრატი 60X60 სანტიმეტრამდე.

**ხმები:** სწორია.

ერთი სიტყვით, საჭიროა ექსპერიმენტი. რაც უფრო ხელსაყრელია, რაც უფრო მეტ პროდუქციას იძლევა, კარგი ის არის. (ტაში).

ასეა კარტოფილის კვადრატების საქმე. სხვა საქმეა სიმინდი. აქ კვადრატის სიდიდე უნდა განისაზღვროს უწინარეს ყოვლისა იმის მიხედვით, თუ რა ჯიშის სიმინდი გინდათ დათესოთ. თუ თესავთ „ვორონეჟულ 76" სიმინდს, მე მგონია, შეიძლება დაითესოს 60X60. არის სხვა ჯიშებიც, რომლებიც ასევე შეიძლება დაითესოს. მაგრამ, ამხანაგებო, თუ თქვენ გსურთ დათესოთ „ოდესური 10" ან „პარტიზანული" 60X60, ბევრ სილოსს მიიღებთ, მაგრამ იზარალებთ მარცვალზე, იმიტომ რომ იგი იზრდება სამი მეტრი და უფრო მაღალი თქვენს პირობებშიც კი; ხოლო თუ თქვენ კარგად შეამზადებთ ნიადაგს, კარგად მოაწყობთ დამატებით კვებას, მაშინ სიმინდი თქვენში იქნება როგორც ლელი — მაღალი ღეროები, მაგრამ უტაროო.

მე კი მგონია, რომ ტაროები ანგარიშში მისაღებია. თუ სიმინდს დათესავთ და კარგად დაამუშავებთ, მიიღებთ არა მარტო 800 ცენტნერ სასილოსე მასას, არამედ ამ 800 ცენტნერში 50 ცენტნერი, და შესაძლოა 70 ცენტნერიც კი, მარცვალი იქნება. ხოლო თუ ხშირი ნათესი გექნებათ, მარცვალს ვერ მიიღებთ. ამიტომ, ამხანაგებო, ფრთხილად იყავით.

ამხანაგებო! მე ტაროს მომხრე ვარ, მოგვეცით სასილოსე მასა, მაგრამ ტაროიანი. ხოლო თუ იქ დაუმატებთ ცილოვან საკვებს, ეს ოქრო იქნება, საკვები კი არა.

მე უკვე მომიხდა ლაპარაკი აუღებელი კარტოფილით ღორების კვების გამოცდილებაზე. ეს დაგეხმარებათ ძლიერ იაფი ხორცის მიღებაში. თქვენში კარგად მოდის კარტოფილი. კარტოფილი ახლა, მექანიზებული დამუშავებისას, სათესად მეტად იაფია, მაგრამ ამოსაღებად ძვირია. ხოლო დასახელებული წესის დროს ღორი თვითონ „იმუშავებს" თავისთვის და ამოიღებს კარტოფილს. ეს შესანიშნავი საქმეა. მე რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვიყო, კარტოფილის რაღაც რაოდენობას უსათუოდ დავთესავდი იმისათვის, რომ დიდი ტუბერები ამოვარჩიო სათესლედ, სასურსათო მიზნით. ეს შეიძლება 20-25 პროცენტი იქნეს, ხოლო 75 პროცენტი წვრილი კარტოფილი ამოუღებელი მივცეთ საკვებად ღორებს, დაე მათ „იმუშაონ" იქ და ხორცი შეიმატონ. იაფი, კარგი და გონივრულია!

ვიტყვი საჯიშე საქმეზე. თქვენს ზონაში არის კარგი კრასნოგორბატოვული ჯიშის ძროხები. ეს დიდი ტანის ძროხაა, რომლის რძე 4,2 და მეტ პროცენტ ცხიმს შეიცავს, გასუქებისას ამ ჯიშის პირუტყვი ბევრ ხორცს იძლევა, ამასთან ცოტა კვებითი ერთეული იხარჯება კილოგრამ მატებაზე. მე მგონია, უნდა მოვკიდოთ ხელი ამ ჯიშს და ვიფიქროთ მის უფრო ფართოდ გავრცელებაზე.

რამდენიმე სიტყვა მეფრინველეობაზე. თქვენი ზონის ბევრ კოლმეურნეობაში მეურნეობის ეს დარგი უყურადღებოდ არის მიტოვებული. ასე არ შეიძლება, ამხანაგებო. ჩვენ მეურნეობის ყველა დარგი უნდა განვავითაროთ. სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ მეფრინველეობაზე. მეტი უნდა მოვაშენოთ ქათამი, იხვი, ბატი.

ახლა, ამხანაგებო, იმ დავაზე, რომელიც ახლა წარმოებს მეცნიერთა შორის აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს წესით ორგანულ-მინერალური ნარევების გამოყენების საკითხზე. ამაზე აქ ცოტა როდი იყო ნათქვამი. არ მახსოვს, რამდენი წლის წინათ იყო ეს, მგონი ორი წლის წინათ, მე ვიყავი აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს საცდელ მინდვრებში.

**ხმა პრეზიდიუმიდან:** სამი წლის წინათ.

**ამხ. ხრუშჩოვი:** სამი წლის წინათ, რა მალე გარბის დრო, მეგონა, ორი წლის წინათ იყო, თურმე სამი წელი გასულა. ჰო და, სამი წლის წინათ ვიყავი გორკი ლენინსკიეში. ამხ. ლისენკო მიჩვენებდა მინდვრებს, სადაც დაყენებული იყო ცდები ორგანულ-მინერალურ ნარევებზე. დიდხანს ვიარეთ მინდვრებში, ვნახე განსაცვიფრებელი შედეგები, ვნახე, რა ჯავლენა მოახდინა ორგანულ-მინერალური ნარევების შეტანამ ნათესებზე. მაშინვე ვთხოვე ტროფიმე დენისის-ძეს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. კაპიტონოვს შეეკრიბათ მოსკოვის ოლქის აგრონომები და ვურჩიე გამოეცადათ მინდვრების გაპატივების ახალი მეთოდი. არ გამიგონია, რომ მოსკოვის ოლქში ამის წინააღმდეგ წასულიყვნენ. მოსკოვის ოლქის ყველა კოლმეურნეობამ, რომლებიც ამ წესით აპატივებდნენ მინდვრებს, კარგი შედეგები მიიღეს. ორგანულ-მინერალური სასუქების ნარევზე ცდები დააყენეს ბელორუსიისა და არზამასის ოლქის კოლმეურნეობებმა. აქ გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის არზამასის ოლქის დივეევოს რაიკომის მდივანი ამხ. კრიუკოვი. დახეთ, მოსავლის რა მატება მისცა მათ რაიონში ახალი წესით სასუქის გამოყენებამ. გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. კოროტკოვი და აგრონომი ამხ. ვასილიევა. ესენი გამოცდილი ადამიანები არიან, ისინიც იყენებენ ორგანულ-მინერალურ ნარევებს. რატომ ილაშქრებს ზოგიერთი მეცნიერი ტ. დ. ლისენკოს მეთოდის წინააღმდეგ? მე არ ვიცი, რაშია საქმე. მე მიმაჩნია, რომ თეორიული და მეცნიერული დავა მინდვრებში უნდა გადაწყდეს. დაე ამა თუ იმ მეცნიერმა თქვას: ამხანაგებო, თქვენი მეთოდი არ ვარგა, ჩემი უკეთესია, იგი მეცნიერულად არის დასაბუთებული. აი მოდით ამდენი და ამდენი ჰექტარი დავთესოთ თქვენი წესით, ამდენი და ამდენი ჩვენი წესით, ხოლო არბიტრები კოლმეურნეობები, კოლმეურნეები იქნებიან.

სამწუხაროდ, ჩვენში ზოგიერთი მეცნიერი სხვანაირად იქცევა. ნება მიბოძეთ გამოვაქვეყნო დოკუმენტი ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის ერთ-ერთი სექციის სხდომის შესახებ. ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის აგრონიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის სექციის ბიუროს 1957 წლის 4 იანვრის სხდომის №5 ოქმში ნათქვამია:

— „მოისმინეს: აკადემიკოს, ტ. დ. ლისენკოს მიერ რეკომენდებული ორგანულ-მინერალური ნარევების შესახებ.

დაადგინეს: სექციის ბიურო არ იზიარებს ამხ. ტ. დ. ლისენკოს რეკომენდაციებს ორგანულ-მინერალური ნარევების გამოყენების შესახებ, როგორც მეცნიერულად დაუსაბუთებელს.

ამ რეკომენდაციების ფართო პროპაგანდა ხელს უშლის ორგანული და მინერალური სასუქების რაციონალურად გამოყენებას.

ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის აგრონიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის სექციის ბიუროს თავმჯდომარე ნ. ავდონინი".

განა ასე შეიძლება მეცნიერული დავის გადაჭრა? ეს მოგვაგონებს ანეგდოტს, როცა გადაწყვიტეს, რომ ქალიშვილი, რომელმაც ბავშვი შობა, მაინც ქალწულად ჩაეთვალათ. (სიცილი). მინდა დავასახელო ის მეცნიერები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ დასახელებული დოკუმენტის შედგენაში. აი ვინ ესწრებოდა სხდომას: ავდონინი, კლეჩკოვსკი, სმირნოვი, კედროვ-ზიხმანი, ბარანოვი, კუდრინი, მამჩენკოვი, ფედოროვი, პოტაშევი, ტურჩინი, ჩერნავინი, სმირენსკი.

მეცნიერული დავა ასე როდი წარმოებს. უნდა შევამოწმოთ დებულება, რომელსაც ესა თუ ის მეცნიერი ან პრაქტიკოსი აყენებს, გავიდეთ მინდვრად და იქ გადავჭრათ დავა.

მე არ ვიცი, რა გამოცდილება აქვთ ამხ. ავდონინსა და ზოგიერთ სხვას, რა ძვირფასი წინადადებანი შეაქვთ მათ პრაქტიკისათვის. ყოველ შემთხვევაში სოფლის მეურნეობის მუშაკები ამას არ გრძნობენ. მე მაკვირვებს სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. მაცკევიჩისა და საბჭოთა მეურნეობების მინისტრის ამხ. ბენედიქტოვის სიმშვიდე. მათ „წმინდანებსავით" დაუკრეფიათ ხელი და არ ერევიან ამ დავაში. არ შეიძლება მინისტრები განზე იდგნენ. რატომ შეუბრუნეთ ზურგი იმას, რასაც ხალხი ამბობს და აღიარებს?

ზოგიერთი მეცნიერი ძალიან ბევრს ცდილობდა ბრალად დაედო ამხ. ლისენკოსათვის ყველა ცოდვა, როცა იგი ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის პრეზიდენტი იყო. ამიტომ ჩვენ დავაკმაყოფილეთ ამხ. ლისენკოს თხოვნა და გავათავისუფლეთ იგი პრეზიდენტის მოვალეობისაგან. ამბობდნენ, რომ ლისენკოს ისეთი ხასიათი აქვს, რომ თითქოს ვერ ითმენს საწინააღმდეგო აზრს, ანგარიშს არ უწევს სხვების აზრს და სხვ. ამხ. ლისენკოს მე ვიცნობ. თავისი თვალსაზრისის დაცვა მას შეუძლია, და ეს კარგია. თვითეულ ადამიანს, თუ იგი რამეში დარწმუნებულია და თუ იგი ჯერ ფიქრობს, სანამ იტყოდეს, უნდა შეეძლოს იმის დაცვა, რაც თქვა. აი ეს იქნება ნორმალური. რა მეთოდია, რომელსაც მეცნიერულ დავაში ავდონინი და სხვები იყენებენ? განა ეს დემოკრატიული ხერხია? არა, ეს მილიციური მიდგომაა. ვთხოვ ამხანაგ მილიციელებს ნუ ეწყინებათ, მე არ მინდა მათი წყენინება, ისინი დიდმნიშვნელოვან დავალებებს ასრულებენ, მაგრამ მათთან როგორ ხდება? არის წესები: აი აქ შეიძლება მობრუნო, აქ კი არ შეიძლება, თუ მობრუნე — გაჩერდი — გადაიხადე ჯარიმა და მორჩა. (სიცილი დარბაზში). დამრღვევი დაიწყებს ახსნა-განმარტებას, მაგრამ მილიციელი უტყვის: „რატომ განმიმარტავთ, საკითხი ნათელია, მე ინსტრუქციაში მიწერია, რომ აქ მობრუნება არ შეიძლება, გადაიხადეთ ჯარიმა". (სიცილი).

ეს სწორი მეთოდია, მაგრამ იგი შეეფერება მილიციას, მეცნიერულ დავაში კი მილიციური მიდგომა მავნეა.

თათბირზე გამოსულებმა ცოტა მაგალითი როდი მოიყვანეს, რომლებიც მოწმობენ, რომ თქვენს პირობებში შეიძლება მოიყვანოთ ხორბლის, ქვავის, უგრეხელის, მუხუდოს და ოსპის უხვი მოსავალი. ეს კულტურები ძვირფასია სახელმწიფოსთვისაც და კოლმეურნეობებისთვისაც. უფრო ფართოდ უნდა გავავრცელოთ ადგილობრივი უხვმოსავლიანი ჯიშები, როგორიც არის, მაგალითად, საშემოდგომო ქვავის ჯიში „ვიატკა" და სხვები.

ამხანაგებო, მინდა დავასახელო ვალდებულებანი, რომლებსაც კოლმეურნეობები კისრულობენ, რადგან ეს ვალდებულებანი მოასწავებენ დიდმნიშვნელოვან ეტაპს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

ჩუვაშეთის ასსრ ვურნარის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. კოროტკოვმა განაცხადა, რომ კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს 1957 წელს 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღონ 100 ცენტნერი ხორცი და 300 ცენტნერი რძე. აბა, ამხანაგებო, მოდით ვკითხოთ უკრაინელებს, ბევრი კოლმეურნეობა იკისრებს მათთან მიიღოს 100 ცენტნერი ხორცი 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე? არა, ბევრი ვერ იკისრებს. მოდით ვკითხოთ სხვა რესპუბლიკებს, ბევრი იკისრებს? მოდით ავიღოთ რუსეთის ფედერაცია. ბევრი გამოინახება ასეთი კოლმეურნეობა? ცოტა.

იმავე ჩუვაშეთის ასსრ ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა. აქ გამოსულმა აგრონომმა ამხ. ვასილიევამ ილაპარაკა 1957 წლისათვის აღებულ ვალდებულებებზე. აი ეს ვალდებულებანი: მიიღონ 65 ცენტნერი ხორცი და 260 ცენტნერი რძე 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. ვფიქრობ ისინი მიიღებენ ას ცენტნერამდე ხორცს, თუმცა, შესაძლოა, წელს კი არა, სულ დიდი ერთი-ორი წლის შემდეგ. გორკის ოლქის ბოგოროდსკის რაიონის კოლმეურნეობა „ისკრა" ვალდებულებას კისრულობს მიიღოს 50 ცენტნერი ხორცი და 400 ცენტნერი რძე 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. ამხანაგებო, საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნეობა რომ იძლეოდეს 50 ცენტნერ ხორცსა და 400 ცენტნერ რძეს 100 ჰექტარ მიწაზე, სად უნდა წაგვეღო ხორცი და ერბო-კარაქი? ვერსად ვერ წავიღებდით. მაგრამ, ამხანაგებო, ნუ გეშინიათ, სანამ თქვენ მიაღწევთ 50 ცენტნერ ხორცსა და 400 ცენტნერ რძეს, ჩვენ მოვიფიქრებთ, რა ვუყოთ მათ. (სიცილი).

კიროვის ოლქის კოლმეურნეობა „კრასნი ოქტიაბრი", თავმჯდომარე ამხ. პროზოროვი, ვალდებულებას კისრულობს 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მიიღოს 50 ცენტნერი ხორცი და 250 ცენტნერი რძე. კარგი ვალდებულებაა. ამხ. პროზოროვ, თქვენ კოლმეურნეობის ძველი თავმჯდომარე ხართ, ძალიან გამოცდილი, მაგრამ, მე მგონია, თქვენ ზედმეტად დატვირთეს, იქნებ სწორად არ ქნეს, თქვენი მეურნეობა რომ გაამსხვილეს. ახლა კოლმეურნეობაში 10 ათასი ჰექტარი მიწაა. რა საჭიროა ასეთი გიგანტომანია კიროვის ოლქის პირობებში?

შინ რომ დაბრუნდებით, ერთხელ კიდევ გადასინჯეთ თქვენი ვალდებულებანი და ყველაფერი გააკეთეთ მათ შესასრულებლად. საჭიროა რაც შეიძლება მეტი ღონისძიებანი, რომ თქვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იქნან ახალ საფეხურზე და ჩვენი ქვეყანა უზრუნველყოფილ იქნას ხორცით, რძით, კარტოფილით, ბოსტნეულით, ხილით და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.

ამხანაგებო!

პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას სურთ მოგეთათბირონ სახელმწიფო სესხების საკითხზე. ახლა ჩვენ გვაქვს 260 მილიარდი მანეთის სახელმწიფო სესხები. როგორც ხედავთ, ჩვენმა ქვეყანამ მშრომელებისაგან ბევრი ფული მიიღო. სახელმწიფოსათვის ამდენი ფულის მიცემა სესხად შეუძლია მხოლოდ სოციალიზმის მშენებელ ხალხს, მხოლოდ ხალხს, რომელიც დარწმუნებულია კომუნიზმის დიადი იდეების გამარჯვებაში და რომელმაც იცის, რომ მას სათავეში უდგას კომუნისტური პარტია, რომელიც გამოხატავს მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს. ლენინის პარტიამ მოუწოდა მუშათა კლასს თავის ხელში აეღო ძალაუფლება და გაუძღვა მას ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლის, ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლის ძლევამოსილი გზით. პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მანძილზე თავისი სამშობლო ჩამორჩენილი გლეხური ქვეყნიდან გადააქცია ქვეყნად, რომელსაც ახლა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მხრივ მეორე ადგილი უჭირავს მსოფლიოში. უკან ჩამოვიტოვეთ ისეთი მდიდარი ინდუსტრიული ქვეყნები, როგორიც არიან ინგლისი, საფრანგეთი და სხვები. ახლა ჩვენ ისინი ჩამოვიტოვეთ და ისე ჩამოვიტოვეთ, რომ აღარც კი ფიქრობენ დაგვეწიონ და, რა თქმა უნდა, ვერ დაგვეწევიან. (ტაში).

რა სახსრებით შევქმენით და ვავითარებთ ახლა ჩვენს მძლავრ ეკონომიკას? კაპიტალისტებს სესხად ერთი გროშიც არ მოუციათ. უფრო მეტიც, ისინი ჩვენს წინააღმდეგ ეწეოდნენ გააფთრებულ ბრძოლას. საბჭოთა ხალხი გმირულად ებრძოდა იმპერიალისტებს სამოქალაქო ომის წლებში, ჩვენ ვიბრძოდით სამამულო ომში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ. იმ მძიმე წლებში ჩვენმა ქვეყანამ, მშრომელი ხალხის ხელით შექმნილი სოციალისტური ინდუსტრიის სიმძლავრეზე დაყრდნობით, არა მარტო გაუძლო, არამედ კიდევაც გაანადგურა მტერი, გაათავისუფლა ევროპის ხალხები ფაშისტური დამონების საფრთხისაგან.

მოვა დრო, როცა შთამომავლები შეისწავლიან ჩვენი დროის გმირულ ისტორიას და იტყვიან, მათ დიდი საქმე გაუკეთებიათო. ხალხი აღტაცებული იქნება იმით, თუ როგორ მოხდა, რომ ნახევრად წერა-კითხვისმცოდნე რუსეთის მშრომელებმა მუშათა კლასის მეთაურობით იერიში მიიტანეს კაპიტალიზმზე, ომი გამოუცხადეს კაპიტალისტებს, დაამხეს ისინი, თავიანთ ხელში აიღეს ძალაუფლება, ომი გამოუცხადეს ინტერვენტებს, დაამარცხეს და თავიანთი მიწა-წყლიდან განდევნეს ისინი, გაანადგურეს ფაშიზმი, შექმნეს პირველხარისხოვანი მრეწველობა, აამაღლეს კულტურა, ახალ ყაიდაზე გარდაქმნეს სოფელი. საუკუნეთა მანძილზე შესასწავლი და აღტაცების გამომწვევი იქნებიან ისინი, ვინც ლენინთან ერთად ცხოვრობდა და წინ მიდიოდა მისი ხელმძღვანელობით, ვინც ახლა პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცე რწმენით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას. (მქუხარე ტაში).

საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ წარმატებათა მოპოვებაში დიდი როლი შეასრულა სესხებმა. მაგრამ, ამხანაგებო, ისინი მუდამ ვერ იარსებებენ. ჩვენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობაში არაერთხელ განვიხილეთ საკითხი, თუ როგორ შევწყვიტოთ სესხზე ხელმოწერა. რა თქმა უნდა, ადამიანი, რომელიც კარგად ვერ ერკვევა სახელმწიფოს საქმეებში, იტყვის: ნუღარ გამოუშვებთ სესხს და ნუ მოაწყობთ ხელმოწერას, მორჩა და გათავდა. (სიცილი). მაგრამ სინამდვილეში ეს ასეთი იოლი საკითხი როდია. ჩვენ ორი წლის განმავლობაში, 1953 და 1954 წლებში, სესხს ვუშვებდით ჩვეულებრივზე სანახევროდ ნაკლებს, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოვიდა. 1955 წელს ჩვენ კვლავ იძულებული გავხდით გამოგვეშვა 32 მილიარდი მანეთის სესხი. 1956 წელს ხელმოწერამ შეადგინა 34 მილიარდ მანეთზე მეტი. მიმდინარე წელს ჩვენ ვფიქრობდით თუნდაც სანახევროდ შეგვემცირებინა ახალი სესხის თანხა, მაგრამ არაფერი არ გამოდის. ახალ ბიუჯეტში სესხის შემოსავალი განსაზღვრულია 26 მილიარდ მანეთზე მეტი. როგორც უკვე ვთქვი, შარშან იყო 34 მილიარდი, მაშასადამე, ჩვენ შევამცირეთ მეოთხედით, მაგრამ სესხი მაინც დიდია — 26 მილიარდი მანეთი.

ახლა ჩვენ გვიხდება სესხებზე ყოველწლიურად გავცეთ დიდი თანხები მოგებისა და დაფარვის სახით. წელს მოგვიხდება გადავიხადოთ დაახლოებით 16 მილიარდი, მომავალ წელს — 18 მილიარდი, ხოლო 1967 წელს მოგვიხდება გადავიხადოთ 25 მილიარდი მანეთი, ესე იგი თითქმის იმდენი, რამდენიც დასახულია სესხზე ხელმოწერით მიმდინარე წელს. გამოდის მოჯადოებული წრე. გამოდის, რომ სახელმწიფო ერთ ჯიბეში იდებს სესხებით მიღებულ ფულს, ხოლო მეორე ჯიბიდან იმდენსავე ფულს აძლევს სესხების მოგებათა გასანაღდებლად. როგორ მოვიქცეთ? ჩვენ ჯერ გადაწყვეტილება არ მიგვიღია, გვინდოდა გვეთათბირა მუშებთან, კოლმეურნეებთან, მოსამსახურეებთან და ინტელიგენციასთან. და თუ თქვენ მხარს დაუჭერთ ჩვენს ღონისძიებებს, მაშინ შეიძლება მივიღოთ შესაბამისი დადგენილება. პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას შესაძლებლად მიაჩნიათ ასე მოიქცნენ.

1958 წლიდან შეწყდეს სესხების გამოშვება გარდა სამპროცენტიანისა, რომელიც თავისუფლად ბრუნავს. მიმდინარე წელს გამოშვებულ იქნას სესხი არა 26 მილიარდი, როგორც ადრე იყო დასახული, არამედ 12 მილიარდი მანეთისა.

როგორ გავავრცელოთ უკეთ სესხი? აქაც უნდა ვიფიქროთ. არის ასეთი წინადადება, რომ ადამიანები, რომლებიც თვეში 500 მანეთამდე იღებენ, ამ სესხზე ხელს არ მოაწერენ, ხოლო ვინც 500 მანეთზე მეტს იღებს, ხელს აწერს სესხზე, მაგრამ არაუმეტეს ორი კვირის ხელფასისა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ხელსაყრელი იქნება როგორც სახელმწიფოსათვის, ისე ხალხისათვის. ხალხისათვის ხელსაყრელია იმიტომ, რომ განმტკიცდება ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო, რომლის აყვავებით დაინტერესებულია თვითეული საბჭოთა ადამიანი. გარდა ამისა, თვითეული მშრომელი მიიღებს აგრეთვე წმინდა მატერიალურ მოგებას. (ტაში).

მაგრამ ჩვენ ვერ განვახორციელებთ ამ ღონისძიებას, ვერ შევწყვეტთ სესხების გამოშვებას, თუ ამავე დროს არ შევწყვიტეთ წინათ გამოშვებული სესხების მოგებათა და დაფარვის ანაზღაურება. ამიტომ ჩვენი წინადადებაა სესხების ანაზღაურება გადაიდოს 20-25 წლით. თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს სწორია, მოგიწოდებთ მხარი დაუჭიროთ. (მქუხარე ტაში).

20-25 წლის შემდეგ კი დაიწყება ობლიგაციების განაღდება; რა თქმა უნდა, არა ერთბაშად. იმიტომ, რომ 260 მილიარდი მანეთის ერთბაშად განაღდება შეუძლებელია, ხოლო ნაწილნაწილ — დაახლოებით 13 მილიარდი მანეთისა ყოველწლიურად შეიძლება. რა თქმა უნდა, საჭიროა შევნიშნოთ, რომ ამ წლებში სახელმწიფო პროცენტებს არ დაარიცხავს. ერთი სიტყვით, უნდა გავყინოთ ის სესხები, რომლებიც მოსახლეობას აქვს. უნდა ითქვას, რომ ამასთან სახელმწიფო, არ გაავრცელებს რა სესხს მოსახლეობაში, მიიღებს სესხს 20 წლის ვადით, რადგან ის სახსრები, რომლებიც სესხებზე უნდა გადაგვეხადა, ჩვენი სახელმწიფოს განკარგულებაში დარჩება, ეს კი დიდი ფულია.

ჩვენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობაში ვითათბირეთ, თუ რას მოვახმაროთ ეს ფული. იგი უნდა მოვახმაროთ ხალხის საჭიროებათა დაკმაყოფილებას, გავადიდოთ ასიგნობანი საბინაო მშენებლობისათვის, სკოლების, საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგების, საბავშვო ბაღების მშენებლობისა და სხვა საჭიროებებისათვის, ესე იგი იმისათვის, რაც დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და ყოფის გაუმჯობესებასთან. (ტაში). ჩვენ ეს საკითხები დავაყენეთ ქარხანა „კრასნოე სორმოვოს" მუშების წინაშე და არ გაგვიგონია არც ერთი ხმა ამის წინააღმდეგ. იქ კი 20 ათასი მუშა იყო და წინადადებას სავსებით დაუჭირეს მხარი. (ტაში). შემდეგ გაიმართა მიტინგი საავტომობილო ქარხანაში. იქ იყო დაახლოებით 60 ათასი კაცი და მათ მოიწონეს პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი სესხის შესახებ. ახლა თქვენც, გორკის, არზამასის, კიროვის ოლქების, ჩუვაშეთის, მარეთისა და მორდვეთის ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირის მონაწილენი, მხურვალედ უჭერთ მხარს ამ ღონისძიებებს. (ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგებო! როცა სორმოვოელ მუშათა მიტინგზე ვიყავი, ვეთათბირე მათ, ხომ არ არის საჭირო შევკრიბოთ მოსკოვის ქარხნების „კრასნი პროლეტარის" ან საავტომობილო ქარხნის მუშები, მოველაპარაკოთ მათ, რათა მიმართონ ყველა მუშას, კოლმეურნეს, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, ინტელიგენციას მხარი დაუჭირონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ღონისძიებებს სესხის შესახებ, სორმოვოში მუშებმა მითხრეს: რატომ „კრასნი პროლეტარი" და არა „კრასნოე სორმოვო" უნდა იყოს ინიციატორი? მე ეს მომეწონა. სორმოვოელთათვის ეს უკვე გადაჭრილი საკითხია, თუ ვინ უნდა იყოს ინიციატორი. რატომ „კრასნოე სორმოვოსთან" ერთად ინიციატორები არ უნდა იყვნენ საავტომობილო ქარხნის მუშები, ხოლო შემდეგ მხარს დაუჭერენ სხვა ქარხნებიც და რატომ, მაგალითად, კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, მტს-ების მუშაკებმა არ უნდა მიიღონ აქ გადაწყვეტილება და არ მიმართონ მთელი ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეებს, რომ მათ მხარი დაუჭირონ. (მქუხარე ტაში).

თუ თქვენ თანახმა ხართ და მხარს დაგვიჭერთ, იქნებ შესაბამისი მიმართვა მიგვეღო. (ხანგრძლივი ტაში). შემდეგ ჩვენ გამოვაქვეყნებდით თქვენს მიმართვას და თქვენს მიმართვაში უნდა ითქვას, მაინც პირველობა უნდა დაუთმოთ იმ მუშებს, რომლებსაც თქვენ მხარს უჭერთ. პირველმა შეუერთეს თავიანთი ხმა სორმოვოს ქარხნის მუშებმა, საავტომობილო ქარხნის მუშებმა. (ტაში). თქვენ კი, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების მუშებისა და სოფლის მეურნეობაში მომუშავე ინტელიგენციის წარმომადგენლები, მხარს უჭერთ მუშებს, იწონებთ მათს თაოსნობას და მოწოდებით მიმართავთ სხვებს მხარი დაუჭირონ ამ კარგ, სასარგებლო საქმეს. (ტაში).

ამხანაგებო! კაპიტალისტი, ეს ჩარჩი, რომელიც მშობელ მამას ნახევარი პროცენტისათვის ყელს გამოსჭრის, თუ ეს მას მოგებას მისცემს, ვერასოდეს ვერ გაიგებს ჩვენი საბჭოთა ადამიანის სულს. იგი ვერასოდეს ვერ დაიჯერებს, რომ თქვენ ნებაყოფლობით იღებთ ამას. წაიკითხავს გაზეთებში და იტყვის: დააშინეს მუშები და გლეხები და ისინიც დათანხმდნენო.

კაპიტალისტს არა გაეგება რა ახალი ადამიანისა, საბჭოთა ადამიანისა, რომელიც დაიბადა და იზრდებოდა ჩვენს პირობებში, როდესაც ადამიანი ცხოვრობს არა იმისათვის, რომ აგროვებდეს და სხვას ძარცვავდეს. ჩვენი ადამიანი მუშაობს, მონაწილეობას იღებს შრომაში. იგი თავისი მუშაობისათვის იღებს იმ წვლილის შესაბამისად, რომელიც შეაქვს საერთო საქმეში, იღებს შრომის მიხედვით, მაგრამ ეს დღევანდელი დღის ანაზღაურებაა. ამასთან იგი იყურება წინ, მომავალში, მუშაობს მომავლისათვის. და ეს შორეული მომავალი კი არ არის, არამედ ხვალინდელი დღე — კომუნისტური საზოგადოებაა. (ტაში).

ამიტომ ჩვენი ადამიანის ცხოვრების მიზანია არა პირადი გამდიდრება, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობა, მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრების დონისა და კულტურის ამაღლება. (ტაში). ეს კეთილშობილური მიზანია. ჩვენი ადამიანი იმით როდი ცხოვრობს, რომ პირადად თავისთვის დააგროვოს, არა. საბჭოთა ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა იმით ცხოვრობს, რომ მეტი სახსრები დააგროვოს საერთო საქმისათვის, სახელმწიფოსათვის, რათა უფრო აამაღლოს წარმოების დონე, ეკონომიკა, მეცნიერება, რათა მეტი ჩარხი, მანქანა აწარმოოს, მეტი პური მოიყვანოს. იგი ფიქრობს იმაზე, რომ მეცნიერების დახმარებით შექმნას ახალი მანქანები, რომლებიც ადამიანს შეუმსუბუქებენ შრომას და საშუალებას მისცემენ უფრო სწრაფად იაროს წინ, სამუშაო დღის შემცირებისა და ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ, და ბოლოს მიაღწიოს იმ მიზანს, როდესაც ადამიანის ყველა საჭიროება დაკმაყოფილდება მის მოთხოვნილებათა მიხედვით, რასაც ჩვენ ვუწოდებთ კომუნისტურ საზოგადოებას. (მქუხარე ტაში).

ასეთია ჩვენი ადამიანი. მას არა მარტო სწორად ესმის თავისი მიზანი ცხოვრებაში. იგი ყველაფერს აკეთებს მისი უსწრაფესად მიღწევისათვის. და აი თქვენი დამოკიდებულება ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ღონისძიებებისადმი აგრეთვე ადასტურებს ამ აზრს. ვერავითარი კაპიტალისტი ვერასოდეს ვერ გაიგებს ამას. როგორც ღორს არ შეუძლია ცას შეხედოს, ისე კაპიტალისტს არ შეუძლია გაიგოს ჩვენი ფსიქოლოგია, ჩვენი საბჭოთა ადამიანის ფსიქოლოგია. (მქუხარე ტაში).

ამხანაგებო! 1955 წელს მე მონაწილეობა მივიღე ბევრი თათბირის მუშაობაში სოფლის მეურნეობის საკითხებზე. კარგი თათბირები იყო, მაგრამ სიტყვები მაშინ სხვანაირი იყო. ჯერ კიდევ ნაკლები იყო რწმენა. წელს ვესწრები მეხუთე თათბირს. მაგრამ, იცით, როგორი რწმენა გაუჩნდათ ადამიანებს. დარწმუნებული ვარ, რომ თუ ჩვენ არ ვიყოყოჩებთ, არამედ კარგად მოვიფიქრებთ ჩვენს მოქმედებას და სწორად გამოვიანგარიშებთ ჩვენს ძალებს, მოვახდენთ მათს მობილიზაციას და, რაც მთავარია, დავრაზმავთ ადამიანებს, — ბევრ რამეს მივაღწევთ. ახლა მთავარია ადამიანებთან მუშაობა. საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ ჩავაბათ აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ვეტექიმები, მეცნიერი მუშაკები დასახული ამოცანების გადაწყვეტაში. თუ საქმეს მივუდგებით ჩვენი პაპებისა და დიდედების საზომით და ცოდნით, მაშინ ძნელია ვიქონიოთ დიდი მაჩვენებლების მიღწევის იმედი. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საუკეთესო ადამიანების მოწინავე გამოცდილება, გამოვიყენოთ ყოველივე მოწინავე, ნამდვილად დავეყრდნოთ მეცნიერების მიღწევებს. რომელი ხელმძღვანელიც უკეთ შეიგნებს ამას და გამოიყენებს თავის მეურნეობაში, რაიონში, ოლქში, რესპუბლიკაში, ის გაიმარჯვებს, ის მოიპოვებს პირველობას.

გისურვებთ კარგ წარმატებებს. ჩვენი ქვეყნისთვის სულ ერთია, რომელი თქვენგანი გამოვა გამარჯვებული შეჯიბრებაში. ჩვენი პარტიისათვის ძვირფასია თვითეული აქ მყოფი, მისი წარმატება. რაც უფრო ფართოდ გაჩაღდება პირველობისათვის ბრძოლა, რაც უფრო მწვავე იქნება იგი, მით უფრო მეტ შედეგებს მიაღწევთ, და მიუხედავად იმისა, თუ რომელი თქვენგანი პირველი მიაღწევს მიზანს, მოგებული დარჩება სახელმწიფო, პარტია. ხოლო რაკი პარტია და სახელმწიფო მოიგებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მთლიანად ჩვენი საბჭოთა ხალხი მოიგებს. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ჩვენ, კომუნისტი-ინტერნაციონალისტები, ჩვენს საქმეს, საბჭოთა კავშირის წარმატებებს განვიხილავთ არა მარტო როგორც ჩვენს წარმატებებს, არამედ აგრეთვე როგორც მთელი მსოფლიოს მუშების წარმატებებს. ამიტომ, ამხანაგებო, ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა კიდევ უფრო შევაძრწუნოთ კაპიტალისტები ჩვენი სახელმწიფოს მიღწევებით, რათა ისინი არა მარტო ცოცხალნი, არამედ კუბოშიც კი გადაბრუნდნენ, თავზარი დასცეს მათ კომუნიზმის ძლევამოსილმა მსვლელობამ. (მქუხარე ტაში).

მოდით ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა ისტორიული ამოცანები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა, უმოკლეს ვადაში განვახორციელოთ. (მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან).

# ჩვენ მხარს ვუჭერთ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს სახელმწიფო სესხების დარგში

## ქარხანა „კრასნოე სორმოვოს" შემდუღებლის ამხ. გოლუბევას სიტყვა ამ ქარხნის მუშათა მიტინგზე 1957 წლის 5 აპრილს

ამხანაგებო! მე მივესალმები ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს. ჩვენ, ქარხნის მუშები, მადლობას ვუძღვნით ნიკიტა სერგის-ძეს იმისათვის, რომ იგი მოვიდა აქ ჩვენთან სორმოვოს ქარხანაში. ჩვენ, ქარხნის მუშები, მივესალმებით ამხანაგ ხრუშჩოვის მიერ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ წელს სესხზე ხელს მოვაწერთ ორი კვირის ხელფასის რაოდენობით, ხოლო 1958 წლიდან სრულიად არ მოვაწერთ ხელს სესხზე. მართალია, ჩვენ ქარხანაში მივეჩვიეთ მუდამ ხელს ვაწერდეთ რაც შეიძლება მეტზე, რათა დავეხმაროთ სახელმწიფოს, მაგრამ ჩვენ მადლობა უნდა ვუთხრათ პარტიასა და მთავრობას, რომ ნაკლებზე მოვაწერთ ხელს. როცა ჩვენ სესხზე ხელს ვაწერთ, ვამბობთ, რომ ერთხელ კიდევ დავეხმარებით ჩვენს სახელმწიფოს ჩვენი სესხით.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მიერ გამოთქმულ აზრს მივესალმებით და ამავე დროს ვითხოვთ, რადგან 1958 წლიდან აღარ იქნება სესხზე ხელის მოწერა, რომ აღარ იყოს აგრეთვე ძველი სესხების გათამაშება და მოგების გაცემა, რათა ეს ფული სახელმწიფოს დარჩეს მთელი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

**ამხ. გოლუბევას სიტყვას მქუხარე ტაშით შეხვდნენ და მისი წინადადება სესხზე ხელმოწერისა და ძველი სესხების მოგების გაცემის შეწყვეტის შესახებ მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს.**

**მიტინგს დაესწრო 20 ათასზე მეტი კაცი.**

## დადგენილება

### გორკის საავტომობილო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა მიტინგისა

მოწონებულ იქნას და მხარი დაეჭიროს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებებს, რომლებიც გამოთქვა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა იმის შესახებ, რომ 1958 წლიდან შეწყდეს ხელის მოწერა სესხზე, შეწყდეს სესხების მოგებათა გაცემა, აგრეთვე გადაიდოს სესხების დაფარვის ვადა.

ამავე დროს მოწონებულ იქნას წინადადება, რომ 1957 წელს მოეწყოს სესხზე უკანასკნელი ხელმოწერა 12 მილიარდი მანეთის ოდენობით ნაცვლად 1956 წლის ფაქტიური ხელმოწერის 34,5 მილიარდი მანეთისა.

**მიღებულია ერთხმად 1957 წლის 6 აპრილს. მიტინგს დაესწრო 60 ათასი კაცი.**

## დადგენილება

### რუსეთის სფსრ გორკის, არზამასის, კიროვის ოლქებისა და მარეთის, მორდვეთისა და ჩუვაშეთის ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირისა

1. რუსეთის სფსრ გორკის, არზამასის, კიროვის ოლქების, მარეთის, მორდვეთისა და ჩუვაშეთის ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი მხურვალედ უჭერს მხარს ამხანაგ ხრუშჩოვის მიერ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გამოთქმულ და სორმოველთა და ავტოქარხნელთა კოლექტივების მიერ მოწონებულ წინადადებას იმის შესახებ, რომ შეწყდეს 1958 წლიდან სესხზე ხელის მოწერა, აგრეთვე შეწყდეს მოგებათა გაცემა ყველა სესხზე, გარდა სამპროცენტიანი სესხისა, რომელიც თავისუფლად ბრუნავს.

ამავე დროს თათბირი იწონებს წინადადებას იმის შესახებ, რომ მოეწყოს 1957 წელს უკანასკნელი ხელის მოწერა სესხზე 12 მილიარდი მანეთის ოდენობით ნაცვლად 1956 წლის ფაქტიური ხელმოწერის 34,5 მილიარდი მანეთისა.

ჩვენ კარგად გვესმის საჭიროება ამ ხელმოწერისა, რომელიც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს დააბალანსოს თავისი ხარჯები, დაკავშირებული სესხის გამოშვების სრულ შეწყვეტასთან 1958 წლიდან. ამიტომ ჩვენ სიტყვას ვაძლევთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ერთსულოვნად დავუჭერთ მხარს 1957 წლის სესხის გამოშვებას.

ერთსულოვნება, რომლითაც მუშებმა და მოსამსახურეებმა დაუჭირეს მხარი ამ წინადადებას, მოწმობს, რომ იგი გამოხატავს საბჭოთა ადამიანების ძირეულ ინტერესებს. ეს გასაგებიც არის. ამ წინადადების განხორციელება რომ აურაცხელ სარგებლობას მისცემს სახელმწიფოსა და ხალხს, ეს ნათელია ყოველი ჩვენგანისათვის: სახელმწიფოს მიეცემა შესაძლებლობა გაადიდოს ასიგნობანი და ამ გზით გააფართოოს საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობა, ხოლო თვითეული მშრომელი რეალურად იგრძნობს ყოველთვიურ მომატებას თავის პირად ბიუჯეტში სესხის ხაზით დაკავების შემცირების, ხოლო შემდეგში სესხზე ხელისმოწერის სრული შეწყვეტის შედეგად.

2. თათბირი მიმართავს საბჭოთა კავშირის ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკსა და მოსამსახურეს, ყველა კოლმეურნეს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებსა და მტს-ების მექანიზატორებს მოწოდებით — ერთსულოვნად დაუჭირონ მხარი წინადადებას სესხების გამოშვების შეწყვეტისა და მათი დაფარვის ვადის გადადების შესახებ.

თათბირი სთხოვს საბჭოთა მთავრობას ყოველნაირად დააჩქაროს ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიების განხორციელება.

3. თათბირი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სესხების გამოშვების შეწყვეტა და მათი დაფარვის ვადის გადადება უდიდეს სარგებლობას მოუტანს ხალხსა და სახელმწიფოს. ეს ღონისძიება საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო დავაჩქაროთ მეურნეობისა და კულტურის განვითარება, გავაუმჯობესოთ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა, განვამტკიცოთ ჩვენი დიადი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერება, დავაჩქაროთ ჩვენი ძლევამოსილი წინსვლა კომუნიზმისაკენ.

## რეზოლუცია

### ქალაქ გორკის მშრომელთა მიტინგისა, რომელიც გაიმართა 1957 წლის 8 აპრილს

ქალაქ გორკის მშრომელნი, შეიკრიბნენ რა მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა რუსეთის სფსრ გორკის, არზამასისა და კიროვის ოლქების, მარეთის, მორდვეთისა და ჩუვაშეთის ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირის მუშაობის დამთავრებას, ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ წინადადებას, რომელიც ამხანაგმა ხრუშჩოვმა გამოთქვა და რომელსაც მხარი დაუჭირეს ქარხანა „კრასნოე სორმოვოს" და გორკის საავტომობილო ქარხნის მუშებმა და მოსამსახურეებმა, აგრეთვე რუსეთის სფსრ ზემოთ აღნიშნული ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირის მონაწილეებმა იმის შესახებ, რომ 1958 წლიდან შეწყდეს სესხების გამოშვება, გარდა სამპროცენტიანი სესხისა, რომელიც თავისუფლად ბრუნავს, და შემცირდეს 1957 წლის სესხის ხელმოწერის თანხა 12 მილიარდ მანეთამდე ნაცვლად შარშანდელი ფაქტიური ხელმოწერის 34,5 მილიარდი მანეთისა და ამავე დროს შეწყდეს ყველა წინათ გამოშვებული სესხის მოგებათა ტირაჟები და გადაიდოს ამ სესხების დაფარვა.

ჩვენ მოვუწოდებთ საბჭოთა კავშირის მშრომელებს მხარი დაუჭირონ ამ წინადადებას, რომელიც მივიღეთ ჩვენი სახელმწიფოსა და მთელი ხალხის ინტერესებისათვის.

**მიტინგის მონაწილენი ამ დადგენილებას მქუხარე ტაშით შეხვდნენ და კენჭისყრის დროს ერთხმად მიიღეს. მიტინგს დაესწრო 150 ათასი კაცი.**

## ტაჯიკური ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში

9 აპრილს მოსკოვში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ტაჯიკური ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა.

სსრ კავშირის დიდი თეატრის ფილიალის სცენაზე ტაჯიკეთის ს. აინის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობებმა უჩვენეს ბალეტი „დილბარი". სპექტაკლის დაწყების წინ ტაჯიკ მსახიობებს დედაქალაქის ხელოვნების მუშაკთა სახელით მიესალმა დიდი თეატრის დირექტორი მ. ჩულაკი. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ტაჯიკეთის სსრ სახალხო არტისტმა გ. ვალამათ-ზადემ.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ულჯაბაევი.

ამ საღამოს ტაჯიკეთის ა. ლახუტის სახელობის დრამის აკადემიურმა თეატრმა დადგა მ. რაზიევისა და ს. საიდმურადოვის „სოდათი". ვ. მაიაკოვსკის სახელობის რუსულმა დრამის თეატრმა უჩვენა მ. რაზიევის პიესა „კარგი სახელი".

მოსკოველები გულთბილად შეხვდნენ მოძმე რესპუბლიკის მსახიობებს.

ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში გაიხსნა ტაჯიკური წიგნის გამოფენა. მოსკოვის მეცნიერთა სახლში გახსნილია გამოფენა, რომელიც მოგვითხრობს ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობაზე. (საკდესი).

# მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის საკითხის საყოველთაო-სახალხო განხილვა

## აზრს გამოთქვამენ მენავთობეები

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის კოლექტივის კრებაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების განხილვისას მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა მრავალი საყურადღებო მოსაზრება გამოთქვეს.

მეორე საამქროს უფროსმა **ლ. მუნდმა** შემოიტანა წინადადება, რომ ნავთობგადამმუშავებელ ქარხანას შეუერთდეს „მთავარნავთობგასაღების" ბათუმის სამმართველო. ამით გამარტივდება ამ ორი ორგანიზაციის მართვა, გაუმჯობესდება ქარხნის ნედლეულით მომარაგებისა და ნავთობპროდუქტების გაგზავნის საქმე.

ხელმძღვანელობის სიშორე და მრავალსაფეხურიანობა, — განაცხადა ქარხნის პირველი საამქროს უფროსმა **ა. ხარიბავამ**, — ართულებს და აფერხებს საწარმოს ნედლეულით მომარაგების საქმეს. ჩვენი ქარხანა კოოპერირების წესით დაკავშირებული უნდა იყოს ნავთობის რომელიმე სამრეწველო რაიონთან, მაგალითად, კრასნოდარის ან აზერბაიჯანის ნავთობის სამრეწველო რაიონის სისტემასთან.

დაგეგმვისა და მომარაგების არსებული პრაქტიკის სერიოზულ ნაკლოვანებებს და მათი გამოსწორების გზებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა ქარხნის მთავარმა ინჟინერმა **ვ. ქირიამ**. მან აღნიშნა, რომ უთავბოლო დაგეგმვის შედეგად წელს საბჭოთა კავშირში არსებულ ნავთობგადამმუშავებელ ყველა ქარხანას გამოუყვეს მხოლოდ 5 ტრაქტორი. ვის უნდა მისცენ ეს ტრაქტორები, როცა მათზე მოთხოვნილება ყველა ქარხანაშია.

მენავთობეებმა მთელი რიგი კონკრეტული მოსაზრებები გამოთქვეს. მათ წინადადება შემოიტანეს, რომ ამთავითვე იქნას მიღებული ღონისძიებები და მოგვარებულ იქნას ქარხნის ნედლეულით მომარაგება უახლოესი ნავთობსამრეწველო რაიონიდან იმ ანგარიშით, რომ საწარმოს ყოველთვის ჰქონდეს გარდამავალი მარაგი.

ქალაქ ბათუმში ერთ-ერთ მსხვილ საწარმოსთან, მაგალითად, მანქანათმშენებელ ქარხანასთან, მოეწყოს მსხვილი სამსხმელო საამქრო, რომელიც ძირითადად უზრუნველყოფს ქალაქის საწარმოებს სხმულით, ხოლო საწარმოებთან დღემდე არსებული წვრილი სამსხმელო საამქროები ლიკვიდირებულ იქნას. ასეთივე ღონისძიება განხორციელდეს სამაგრი ლითონდეტალების (ჭანჭიკები, ხრახნები და ა. შ.) წარმოების მოსაწესრიგებლადაც.

მენავთობეებმა ერთსულოვნად მოიწონეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები და გამოთქვეს რწმენა, რომ პარტიის ამ მეტად გონივრულ წინასწარდასახულობათა პრაქტიკულად განხორციელება მნიშვნელოვნად დააჩქარებს საბჭოთა ხალხის ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმისაკენ.

## ბინათმშენებლები მოითხოვენ

რაც უფრო ღრმად ვსწავლობთ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს, მით უფრო ვრწმუნდებით მათს დროულობასა და მიზანშეწონილობაში.

ჩვენი ქალაქის საცხოვრებელ სახლებში საბაზანო ოთახების მოწყობა მრავალი მილიონი მანეთი დაჯდა, მაგრამ რუსთავის მოსახლეობა ჯერჯერობით ვერ სარგებლობს ცხელი წყლით. საბაზანო მოწყობილობა და მილგაყვანილობა იჟანგება, ფუჭდება და ადვილი შესაძლებელია ცხელი წყლის გაშვებისას ქსელი შესაცვლელი გახდეს. აბაზანებში ცხელი წყლის გაშვება ჭიანურდება იმის გამო, რომ დღემდე სადავო და გაურკვეველია, ვინ უნდა შეიძინოს ე. წ. ბოილერები (ბოილერი — ხელსაწყო, რომლის საშუალებით წყალი ორთქლით ცხელდება) — შავი მეტალურგიის თუ მეტალურგიულ და ქიმიურ საწარმოთა მშენებლობის სამინისტრომ. დავა გრძელდება, მოსახლეობას კი ცხელი წყალი არა აქვს.

რუსთავის ცენტრალურ მოედანთან ჯერ კიდევ 6-7 წლის წინათ შევუდექით ადმინისტრაციული სახლის მშენებლობას. მოედნის ირგვლივ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების აგება კარგა ხანია დავამთავრეთ, ხოლო ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა 3-4 წელია შეჩერებულია, რადგან შავი მეტალურგიის სამინისტრო ამ ობიექტის მშენებლობით უკვე ნაკლებად არის დაინტერესებული და საჭირო თანხებს აღარ გვაძლევს. საქმისადმი ვიწრო უწყებრივ დამოკიდებულებას ბევრჯერ შედეგად მოსდევს სახელმწიფო სახსრების უმიზნო ხარჯვა. სამშენებლო ორგანიზაციების გაერთიანება ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, მშენებლობის ერთიანი დაგეგმვა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესება საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად გამოვიყენოთ ადგილობრივი რეზერვები.

რუსთავში ამჟამად, მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელთან შედარებით სამშენებლო სამუშაოთა ფრონტი რამდენადმე შემცირდა, საბინაო მშენებლობას ხელმძღვანელობს რამდენიმე ორგანიზაცია — მეტალურგმშენის ტრესტის საბინაო მშენებლობის სამმართველო, ქიმმრეწვმშენი და სპეცმშენი. ბევრად უკეთესი იქნება, თუ რუსთავში საბინაო კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა დაეკისრება ერთ სამშენებლო ორგანიზაციას, რომელიც განახორციელებს საერთო სამშენებლო ხასიათის სამუშაოებს. ეს ხელს შეუწყობს კვალიფიციური მუშახელის, საშენ მასალათა რესურსების (განსაკუთრებით ადგილობრივი საშენი მასალების) და სამშენებლო მექანიზმების უფრო რაციონალურად გამოყენებას.

**შ. ჩაბირაძე,**
ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს უბნის უფროსი.

**ა. წიკლაური,**
კალატოზთა ბრიგადირი.

## ეკონომისტის შენიშვნები

მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობისა და მართვის დღემდე არსებული პრაქტიკა ზომაზე მეტად ზღუდავდა საქალაქო და რაიონული აღმასკომების საგეგმო კომისიების როლს ქალაქის (რაიონის) ტერიტორიაზე განლაგებულ სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში, პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დაგეგმვაში. ადგილობრივი საგეგმო კომისიები უწყებრივი კარჩაკეტილობის გამო ვერ მონაწილეობდნენ სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შედგენაში. ამით ფერხდებოდა ქალაქის (რაიონის) სახალხო მეურნეობის განვითარება.

მაგალითად, ბინათმშენებლობისათვის სახელმწიფო კრედიტის მოცულობა განისაზღვრებოდა ადგილობრივი რეალური პირობების გაუთვალისწინებლად, კომუნალური ბანკის რომელიღაც მუშაკის მიერ, იმის გაუანგარიშებლად, თუ რა მოთხოვნილებაა კრედიტზე, რა ფართობის შემცველი საცხოვრებელი სახლები შენდება, რა მოცულობისაა გადმომავალი დაუმთავრებელი მშენებლობა. ამავე დროს ადგილობრივი აღმასკომის საგეგმო კომისიას ჩვეულებრივად ყოველთვის აქვს მოცემულ ქალაქში ან რაიონში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის განვითარების სწორად დამუშავებული საგეგმო მაჩვენებლები, მაგრამ არავინ არ იჩენდა დაინტერესებას ამ მაჩვენებლებით. ამის შედეგად შეუსაბამობა იყო ინდივიდუალური ბინათმშენებლობის დაფინანსების, ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემისა და მშენებლობის საშენი მასალებით უზრუნველყოფის გეგმებს შორის.

* * *

მშენებლობის გასაუმჯობესებლად ბევრი რამ ახალი, პროგრესული გაკეთდა ჩვენს რესპუბლიკაში. მაგალითად, საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მეოთხე საერთო სამშენებლო ტრესტი ჩამოყალიბდა ქუთაისში ორი მსხვილი სამშენებლო ორგანიზაციისა და კურორტ წყალტუბოში მოქმედი ოთხი, სხვადასხვა უწყების სამშენებლო სამმართველოების გაერთიანების ბაზაზე. ასეთი გაერთიანება მრავალმხრივ ეფექტიანი გამოდგა. შეიკვეცა ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატი 120 ერთეულის ოდენობით 820 ათას მანეთამდე ხელფასის წლიური ფონდით, გაუმჯობესდა გეგმის შესრულებისა და ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის საქმე, ამაღლდა შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.

მაშასადამე, ცხოვრებამ გაამართლა სამშენებლო ორგანიზაციების გამსხვილების კურსი. მაგრამ ქუთაისში დღესაც არსებობენ და დამოუკიდებლად მუშაობენ სხვა საუწყებო სამშენებლო ორგანიზაციები. საჭიროა მათი გამსხვილება, გაერთიანება.

* * *

სტატისტიკური ანგარიშგება საჭიროა თვითეული საწარმოს მუშაობის ოპერატიული მეთვალყურეობისათვის. ამ მხრივ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საანგარიშგებო დისციპლინას. საანგარიშგებო დისციპლინა კი მეტნაკლები ზომით თითქმის ყველგან დარღვეულია. ირღვევა აგრეთვე გეგმის შედგენისა და მისი მაჩვენებლების შემსრულებლებისათვის გაცნობის ვადები.

ამის მიზეზია ორი გარემოება: ჯერერთი, გეგმის შესადგენად და გეგმის შესრულების შესახებ საანგარიშგებო ციფრობრივი მონაცემების გასაფორმებლად საჭირო ხდება პირველადი აღრიცხვის უამრავი დოკუმენტის დამუშავება და ასევე უამრავი ფორმის შედგენა და გაგზავნა რამდენიმე მისამართით; მეორე, დაგეგმვის და აღრიცხვის აპარატებში მომუშავეთა შრომა მექანიზებული არ არის, რის გამო გეგმის შედგენისა და მისი შესრულების მაჩვენებლების გასაფორმებლად სამუშაოები ძირითადად ხელით სრულდება. ამის შედეგად მეურნეობის მდგომარეობის დამახასიათებელი საანგარიშგებო მასალები თავის ოპერატიულ დანიშნულებას კარგავს.

მისასალმებელია ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში განვითარებული დებულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სტატისტიკის განმტკიცების მიზნით მკვეთრად უნდა გამარტივდეს და შემცირდეს არსებული აღრიცხვა და ანგარიშგება, უნდა შემცირდეს პირველადი აღრიცხვა საწარმოებში და მშენებლობებზე, აღმოიფხვრას ზედმეტობა ამ საქმეში და მაქსიმალურად მექანიზებულ იქნას პირველადი აღრიცხვა.

* * *

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და მის ადგილობრივ ორგანოებთან არსებობს ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალისა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების სარეგისტრაციო ე. წ. საშტატო ინსპექცია, რომელშიც ცენტრიდან რაიონამდე დასაქმებულია მრავალი მუშაკი. თავის დროზე ეს რგოლები აუცილებელი იყო მმართველობის აპარატის სტრუქტურის, თანამდებობათა, ხელფასისა და პერსონალის რიცხვის ინდივიდუალურად განსაზღვრისა და კონტროლისათვის.

მაგრამ ახლა, როცა თითქმის ყველა საწარმოსა, სამეურნეო და სამშენებლო ორგანიზაციისათვის, აგრეთვე დაწესებულებებისათვის უკვე დადგენილია ტიპური სტრუქტურა, განსაზღვრულია შტატები და თანამდებობრივი განაკვეთები, საშტატო ინსპექციების არსებობამ, შეიძლება ითქვას, დრო მოჭამა. ყოველ შემთხვევაში ეს საკითხი გულდასმით შესწავლის საგანი უნდა გახდეს.

ასეთია ის რამდენიმე შენიშვნა, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გადახალისებისას.

**ა. სულაქველიძე,**
საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მეოთხე საერთოსამშენებლო ტრესტის საგეგმო განყოფილების უფროსი, ეკონომისტი.

# სამგორელი მეფრინველეები



მეფრინველეები ნ. ბუჩუკური (მარცხნივ) და ნ. კოტორაშვილი ამოწმებენ წიწილების მდგომარეობას.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საითაც გაიხედავთ, შემოქმედებითი შრომა დუღს. მშენებლები, რომლებსაც ნაგებობათათვის მჭიდროდ შემოურტყამთ ართახები, ზევით მიიწევენ, მემონტაჟეები წყალსადენის მილებს უტრიალებენ, ხოლო დურგლები საველე საფრინველეებს ჩაჰკირკიტებენ. ცოტა მოშორებით ქარსაცავ ზოლს აშენებენ.

ერთი სიტყვით, ახლა აქ მიწის გარდა ყველაფერი ახალია. ხოლო ზოგჯერ თუ ამბობენ, მიწაც განახლებულიაო, ეს უპირველეს ყოვლისა სამგორის ველის იმ მონაკვეთზე ითქმის, სადაც ადამიანები პირველად სამიოდე წლის წინათ მოვიდნენ, რათა საფუძველი ჩაეყარათ საჯიშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობისათვის.

ვისაც უკანასკნელ ხანებში შემთხვევა ჰქონია საკუთარი თვალით ენახა ეს საბჭოთა მეურნეობა, დარწმუნდებოდა, რამდენი რამ გაკეთებულა აქ მოკლე ხნის მანძილზე. ექვსი თვეა მეურნეობა უკვე იძლევა თავის პირველ პროდუქციას. ამ პერიოდში მან მიიღო თითქმის მეოთხედი მილიონი კვერცხი და სახელმწიფოს გარკვეული რაოდენობით ჩააბარა ფრინველის ხორცი.

მაგრამ ეს ახალი საბჭოთა მეურნეობის მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. არ გაივლის დიდი დრო და იგი გადამწყვეტ როლს შეასრულებს თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის ფრინველის ახალი დიეტური პროდუქციით მომარაგების საქმეში. მარტო წელს მეურნეობის კოლექტივმა სახელმწიფოს უნდა მისცეს 40 ტონა ფრინველის ხორცი და 855 ათასი კვერცხი, გაზარდოს 120 ათასი წიწილა.

საბჭოთა მეურნეობის დირექტორთან პ. გუნიასთან ერთად ვეცნობით სამგორელ მეფრინველეთა მუშაობას.

— მოზარდი ფრინველის პირველი პარტია — 4.000 ფრთა, — გვიხსნის ამხ. გუნია, — შემოვიყვანეთ გასული წლის ივლის-აგვისტოში გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკიდან. ახლა უკვე გვყავს 28.158 ფრთა, რომელთა დიდი ნაწილი კვერცხმდებელი დედალია. გარდა ამისა, ამ პერიოდში კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მუშა-მოსამსახურეებს მივყიდეთ საკუთარი წარმოების 7.143 ფრთა ფრინველი.

თუ როგორ მუშაობს მეურნეობის ახალგაზრდა კოლექტივი, ამას ამტკიცებს შემდეგი მაჩვენებლები: ექვს თვეში თვითეულ დედალზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 68 კვერცხისა მიღებულია 74 კვერცხი. წიწილების გამოჩეკის გეგმა შესრულებულია 78 პროცენტით გეგმით დასახული 70-ის ნაცვლად, ხოლო წიწილების ორ თვემდე გაზრდის დავალება — 93 პროცენტით.

მეურნეობის ოქროს ფონდი არიან მისი ადამიანები. სადედე ბრიგადის ხელმძღვანელმა გ. შარაშენიძემ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე 120 ათასის ნაცვლად 152.522 კვერცხი მიიღო. ახალგაზრდა მეწიწილეებმა ქ. ჯარიაშვილმა და ნ. ბუჩუკურმა 20 დღემდე შეინარჩუნეს მიღებული წიწილების 96 პროცენტი. მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან მეფრინველეები ქ. ხოხობაშვილი, ნ. კოტორაშვილი, ელ. ფოტლერი, საკვების შემამზადებელი ნ. ვაიტალოვა, საინკუბაციო საამქროს უფროსი, ზოოტექნიკოსი შ. დოლიძე.

რაკი ლაპარაკი საინკუბაციო საამქროზე ჩამოვარდა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეურნეობაში სადედე ბრიგადისაგან საინკუბაციო საამქროში კვერცხის მიღებით იწყება პირველი პროცესი. აქ კვერცხს ახარისხებენ, კეთილსაიმედოს ინკუბატორში გამოსაჩეკად აწყობენ, დანარჩენს კი სახელმწიფო დამზადების ანგარიშში აბარებენ. საამულო მარკის ინკუბატორში კვერცხი ეწყობა კონვეიერული წესით — თვითეულ ჩაწყობაზე ხუთი ათასი ცალი. ახალგამოჩეკილ წიწილებს 5 დღემდე ათავსებენ ე. წ. „ხელოვნურ კრუხში", შემდეგ კი გადასცემენ გასაზრდელ საამქროს, სადაც მათ ორი თვის ასაკამდე ზრდიან ბატარეული სისტემის გალიებში. აქედან ვარიები გადაჰყავთ საველე საფრინველეებში. აქ მათ 5 თვის ასაკამდე ამყოფებენ. შემდეგ ფრინველი უკვე გადმოჰყავთ სადედე ბრიგადაში, სადაც დახარისხების შემდეგ ქმნიან საკონტროლო ჯგუფს. სადედედ იტოვებენ ვარიების საერთო რაოდენობის 30 პროცენტს.

საფრინველეებში მთელი მუშაობა სამუშაო დღის მტკიცე რეჟიმს ემორჩილება. ყველგან დაცულია სანიმუშო წესრიგი და სისუფთავე. ფრინველი ნორმალური ტენისა და ტემპერატურის პირობებში იმყოფება. კვება წარმოებს ზუსტად რაციონის მიხედვით. რეგულარულად ხორციელდება ინფექციურ დაავადებათა საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებანი.

— ფრინველის მოვლა-პატრონობაში მეორეხარისხოვანი რამ არ არსებობს, — ამბობს მეურნეობის უფროსი ზოოტექნიკოსი ამხ. კ. ცერცვაძე, — მაგრამ წარმატებათა საფუძველი მაინც მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნებული კვებაა.

საკვები ფრინველს ეძლევა ყოველთვის ახალი სახით, წლის სეზონის, კვერცხმდებლობის ინტენსივობისა და საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით. ფრინველის სადღეღამისო რაციონში შედის 20-მდე სახის საკვები, მათ შორის სხვადასხვა მარცვლეული, ძირხვენები, კომბოსტო, ქატო, ხორცისა და ძვლის ფქვილი, რძე, თევზის ქონი, ცარცი, კვერცხი, ხაჭო, საფუარი, მარილი...

ძირითად საკვებზე — მარცვლეულზე — მოთხოვნილებას მეურნეობა საკუთარი წარმოებით უზრუნველყოფს. სახნავ-სათესი ფართობი 850 ჰექტარს შეადგენს. გასული წლის შემოდგომაზე 455 ჰექტარი პურეული დათესეს, ამ გაზაფხულზე კი დათესავენ 100 ჰექტარ სიმინდს, 135 ჰექტარ მრავალწლიან და ერთწლიან ბალახებს, 10 ჰექტარ ძირხვენებს, 3 ჰექტარ კალნაბს.

დღითიდღე იზრდება სამგორელ მეფრინველეთა დაბა. ლარივით გაჭიმული ქუჩების ორივე მხარეს მიჯრით დგანან მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლები, აქაურობას ამშვენებს საფრინველეები და საყოფაცხოვრებო ნაგებობანი.

საბჭოთა მეურნეობაში არ ემდურიან მშენებელს — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ქიმმრეწვმშენს, რომელმაც აქ უკვე ააშენა ხუთი მილიონი მანეთის ობიექტები და წელს უნდა შეასრულოს 3 მილიონი მანეთის ღირებულების მშენებლობა.

მშენებლების პარალელურად შეუფერხებლად მუშაობენ ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის „სანტექმონტაჟის" სამმართველოს მუშაკები, რომლებსაც დავალებული აქვთ კომუნალური მეურნეობის მოწყობის სამუშაოები.

მეურნეობაში 150-მდე კაცი მუშაობს. დღემდე ბევრი რამ გაუკეთებიათ ადამიანთა საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. მაგრამ ამ მხრივ კიდევ ცოტა რამ როდია გასაკეთებელი. იგრძნობა საბინაო ფონდის ნაკლებობა, დღემდე არ არის სკოლა, საბავშვო ბაღი და ბაგა, სათანადოდ არ მარაგდება სასადილო.

ამ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორება ახალი საბჭოთა მეურნეობის კოლექტივისათვის დიდი დახმარების გაწევა იქნება.

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სამგორის საჯიშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობაში ახლა დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობაა. ეს გამოწვეულია პარტიისა და მთავრობის მიმართვით ჩვენი ქვეყნის საბჭოთა მეურნეობების ყველა მუშაკისადმი, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებით. მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები გულდასმით ეცნობიან ამ ისტორიულ დოკუმენტებს, სახავენ ღონისძიებებს მეფრინველეობის მეტი და იაფი პროდუქციის მისაღებად.

**გ. ზუკაკიშვილი,**
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

# ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის საელჩოს ნოტა სახელმწიფო დეპარტამენტისადმი

[illegible]

1957 წლის 2 იანვარს, როცა საბჭოთა თბომავალი „ნ. ოსტროვსკი“ მივიდა ბალბოას ნავსადგურის რეიდზე, რომელიც პანამის არხის შესასვლელთან მდებარეობს, გემზე მივიდნენ ამერიკის საბაჟოს მოხელეები და არხის 18 შეიარაღებული მცველი. გულდასმით დაათვალიერეს ყველა საცხოვრებელი და სასამსახურო სათავსი თვით ეკიპაჟის პირადი ნივთებიც კი, გადაიღეს ყველა მექანიზმის, მოწყობილობისა და სათავსის ფოტოსურათები.

მიუხედავად იმისა, რომ გემს ჰქონდა საჭირო დოკუმენტები პანამის არხში გასავლელად, არხის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გულდასმით გაზომეს სათავსები და შეამოწმეს მექანიზმების ყველა პასპორტი. გემის დათვალიერება დაიწყო 11.00 და დამთავრდა 18.00 საათზე. არხის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თბომავალი „ნ. ოსტროვსკი“ შეიძლება მიღებულ იქნას არხში გასატარებლად მხოლოდ 3 იანვარს 07.00 საათზე, მაშინ როცა ყველა სხვა სახელმწიფოს გემები შეუფერხებლად გადიოდნენ არხში. ბალბოას რეიდზე საბჭოთა თბომავლის ყოფნის მთელი დროის განმავლობაში გემთან მორიგეობდა პოლიციის კატერი.

[illegible] ყოფნა.

ასეთი დისკრიმინაციული ღონისძიებანი ამერიკელმა ხელისუფლებმა მიიღეს აგრეთვე საბჭოთა გემების „ი. ბაბუშკინის“ და „ადმირალ სენიავინის“ მიმართ, როდესაც ისინი პანამის არხში გადიოდნენ 1957 წლის დამდეგს.

საელჩო პროტესტს უცხადებს სახელმწიფო დეპარტამენტს საბჭოთა გემების „ნ. ოსტროვსკის“, „ი. ბაბუშკინის“ და „ადმირალ სენიავინის“ მიმართ ამერიკელ ხელისუფალთა აღნიშნული დისკრიმინაციული მოქმედების წინააღმდეგ. ამერიკელ ხელისუფალთა ეს მოქმედება უხეშად არღვევს საერთაშორისო მნიშვნელობის არხებით სარგებლობაში ყველა ქვეყნის სრული თანასწორობის პრინციპს, რომელიც პანამის არხის მიმართ გამოცხადებულია 1901 წლის 18 ნოემბრის ხელშეკრულებაში პანამის არხის შესახებ და განმტკიცებულია ჩვეულებრივი პრაქტიკით.

საელჩო მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი ხელისუფალნი მიიღებენ ღონისძიებებს, რათა ამგვარი ფაქტები არ იქნას დაშვებული მომავალში“.

# საჩუქარი საბერძნეთის მოსახლეობას, რომელიც მიწისძვრამ დააზარალა

ათენი, 9 აპრილი. (საკდესი). 8 აპრილს საბჭოთა კავშირის ელჩი საბერძნეთში მ. გ. სერგეევი სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობთა დელეგაციასთან ერთად ეწვია საგარეო საქმეთა მინისტრს ავეროფს. მინისტრს გადაეცა 130 ათასი დრაჰმის ჩეკი — ანსამბლის იმ კონცერტების შემოსავალი, რომლებიც გაიმართა ამასწინანდელი მიწისძვრით დაზარალებული თესალიის მოსახლეობის სასარგებლოდ. დელეგაციამ თანაგრძნობა გამოუცხადა დაზარალებული რაიონების მოსახლეობას.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ავეროფმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა მსახიობებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათი საჩუქარი არა მარტო სიმპათიას გამოხატავს თესალიის დაზარალებული მოსახლეობისადმი, არამედ მოწმობს იმის სურვილს, რომ უფრო მჭიდრო ურთიერთობა დამყარდეს ორი ქვეყნის ხალხებს შორის.

# ირანის პრემიერ-მინისტრის განცხადება

თეირანი, 10 აპრილი, (საკდესი). ირანის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ეგბალმა გუშინ მეჯლისის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა და განაცხადა, რომ საგარეო პოლიტიკის დარგში ირანის ახალი მთავრობა დაიცავს კურსს, რომელსაც წინანდელი მთავრობა ადგა. ჩვენი მთავრობა, თქვა მან, განახორციელებს მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების პოლიტიკას ერთიმეორის უფლებათა პატივისცემისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დაცვის საფუძველზე. იგი მოიწონებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მშვიდობის უზრუნველყოფა მთელ მსოფლიოში და, კერძოდ, შუა აღმოსავლეთში.

ამასთან ეგბალმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა ეცდება განამტკიცოს ბაღდადის სამხედრო პაქტი.

# ნატოს პროგრამით...

ოსლო, 9 აპრილი. (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, შემუშავებულია დასავლეთ ნორვეგიაში გზატკეცილების ერთიანი სისტემის მშენებლობის დიდი გეგმა. ეს სისტემა დააკავშირებს ტრონჰეიმს ეგერსონთან და დასავლეთ ნორვეგიას აღმოსავლეთ ნორვეგიასთან. გეგმა ითვალისწინებს 400 მილიონ კრონზე მეტი თანხის სამუშაოებს. აქედან დაახლოებით 250 მილიონი კრონი განზრახულია მიიღონ ნატოს პროგრამით გათვალისწინებული ასიგნობებით.

პარტია ჰეირეს გაზეთი „მორგენბლადეტი“ წერს, რომ ეს გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე დიდი სამხედრო ბაზის მშენებლობას დასავლეთ ნორვეგიაში და მთლიანად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

# ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის სიტყვა

პეკინი, 9 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს იმ სიტყვის ტექსტს, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა წარმოთქვა დარბაზობაზე, რომელიც პოლონეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა გამართა პოლონეთის მთავრობის დელეგაციის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ყოფნის გამო. მაო ძე-დუნმა თქვა:

ამხანაგებო და მეგობრებო!

ჩვენ მადლობას ვუძღვნით პოლონეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ცირანკევიჩს და პოლონეთის მთავრობის დელეგაციას, რომელსაც იგი მეთაურობს, იმისათვის, რომ მათ ჩინელ ხალხს ჩამოუტანეს პოლონელი ხალხის ძმური მეგობრობა. ვთხოვთ პოლონეთის მთავრობის დელეგაციას წაუღოს ჩინელი ხალხის ასეთივე მეგობრობა და საუკეთესო სურვილები პოლონელ ხალხს.

გისურვებთ, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ კიდევ უფრო კარგად აშენოს სოციალიზმი. ვისურვებთ, რომ საბჭოთა კავშირი, პოლონეთი, ჩინეთი და სხვა სოციალისტური ქვეყნები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ. ვისურვებთ, რომ სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებმა და მსოფლიოს სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებმა და ხალხებმა კიდევ უფრო კარგად განახორციელონ ღონისძიებანი საყოველთაო მშვიდობის საქმისა და კაცობრიობის პროგრესისათვის. გთხოვთ ყველა თქვენგანმა ჩემთან ერთად შესვათ პოლონეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ცირანკევიჩის, მისი მეუღლის და პოლონეთის მთავრობის დელეგაციის წევრი ყველა ამხანაგის სადღეგრძელო, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ გომულკას სადღეგრძელო, პოლონეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ზავადსკის სადღეგრძელო!

# ეგვიპტე გადაჭრით უარყოფს სუეცის არხის „ინტერნაციონალიზაციის“ გეგმებს

## პრეზიდენტ ნასერის განცხადება

კაირო, 9 აპრილი. (საკდესი). გაზეთებში გამოქვეყნდა პრეზიდენტ ნასერის საუბარი ამერიკელ ჟურნალისტ ფონ ვიგანდთან სუეცის არხის შესახებ. საუბარი გადასცა ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის სააგენტომ. ეგვიპტემ, წერს კორესპონდენტი, გადაჭრით უარყო ახალი წინადადებანი სუეცის არხის ინტერნაციონალიზაციის შესახებ. შეერთებულმა შტატებმა აგრეთვე მოითხოვეს — ცნონ სუეცის არხის მოსარგებლეთა ასოციაციის უფლებები, რაც ეგვიპტის მთავრობის აზრით, იმის მომასწავებელი იქნება, რომ ამ ასოციაციას გადაეცეს ნაოსნობისადმი სრული კონტროლი. პრეზიდენტმა ნასერმა განაცხადა, რომ ეგვიპტეს არ შეუცვლია თავისი პოზიცია სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებში, რომლებიც ეხება ეგვიპტის სრულ სუვერენიტეტს სუეცის არხისადმი. სუეცის არხი ეგვიპტის ტერიტორიის ნაწილია და ეგვიპტეს ეკუთვნის ისევე, როგორც ჩვენი რკინიგზები ან ეგვიპტის ტერიტორიის ყოველი სხვა ნაწილი. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც კი შესაძლებელია, რათა შევთანხმებოდით ვაშინგტონს ჩვენი უდავო სუვერენიტეტისა და ჩვენი უფლებების ფარგლებში. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სუეცის არხს, რომელშიც ახლა ყოველდღე დადიან გემები, ამჟამად „განაგებს და მომავალშიც განაგებს ეგვიპტე კონსტანტინოპოლის 1888 წლის კონვენციის შესაბამისად. ყველა გემი, რომელიც კუთვნილ ბაჟს უხდის ეგვიპტის, თავისუფლად გაივლის არხში“.

ფონ ვიგანდი წერს, რომ კითხვაზე არხში ისრაელის გემების გავლის შესახებ პრეზიდენტმა ნასერმა უპასუხა: „ზავის დადების შემდეგ, რომელიც გაითვალისწინებს პალესტინიდან არაბ ლტოლვილთა პრობლემების სამართლიან მოწესრიგებას, ისრაელის გემებს შეუძლიათ გაიარონ სუეცის არხში სხვა გემების თანაბრად. ახლა ჩვენ ომის მდგომარეობაში ვიმყოფებით ისრაელთან. იმის დამაჯერებელი დადასტურება, რომ ისრაელი ომის მდგომარეობაშია, არის აგრესიის მუქარა, რომლითაც თითქმის ყოველდღე გამოდის ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენ-გურიონი“.

პრეზიდენტმა ნასერმა განაცხადა, რომ მზად არის განაგრძოს მოლაპარაკება სუეცის არხის საკითხზე. „ჩვენ, — თქვა მან, — ყოველთვის მზად ვართ ვაწარმოოთ მოლაპარაკება, თუ არის ოდნავი შესაძლებლობა გამოინახოს სადავო საკითხებზე შეთანხმების საფუძველი. მაგრამ ჩვენ ვერ განვიხილავთ მოთხოვნებს, რომლებიც არღვევენ ან რომელთა მიზანია შეზღუდონ ეგვიპტის სუვერენიტეტი მისი ტერიტორიის რომელიმე ნაწილისადმი“.

# დამთავრდა სუეცის არხის გაწმენდის სამუშაოები

კაირო, 9 აპრილი. (საკდესი). გემი „აბუკირი“ — უკანასკნელი გემი, რომელიც სუეცის არხის ფსკერიდან ამოიღეს, ბუქსირით წაიყვანეს არხის ტრასიდან დიდ მწარე ტბაში.

ამრიგად, მოხსნილია უკანასკნელი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლიდა სუეცის არხში ნაოსნობის სრულ განახლებას.

სუეცის არხის ადმინისტრაციის გამგეობის დირექტორმა მაჰმუდ იუნესმა განაცხადა, რომ დღეიდან სუეცის არხში გავლა შეუძლიათ 20 ათას ტონამდე წყალწყვის გემებს.

იუწყებიან, რომ სუეცის არხში დღეს შევლენ მთელი რიგი დიდი ტონაჟის გემები.

# სამხედრო შეთანხმება შეერთებულ შტატებსა და საუდის არაბეთს შორის

ნიუ-იორკი, 9 აპრილი. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ შეერთებულ შტატებსა და საუდის არაბეთს შორის დაიდო შეთანხმება 5 წელიწადზე მეტი ხნით, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს უფლებას ანიჭებს გამოიყენონ საუდის არაბეთის საავიაციო ბაზა დაჰრანი.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, ამ შეთანხმების საფუძველზე შეერთებული შტატები საუდის არაბეთს მიჰყიდიან შეიარაღებას, მათ შორის რეაქტიულ სასწავლო თვითმფრინავებსა და საპატრულო გემებს. ამერიკელი ოფიცრები გაწვრთნიან საუდის არაბეთის არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და ავიაციის პირად შემადგენლობას.

# პოეტის ხელოვნება




[illegible] ...ხული ეპოსის — თარგმანისა, თარგმანისა, რომელიც როგორც ფორმით, ისე შინაარსით სავსებით შეესაბამება ორიგინალს. ამით მთარგმნელმა ხელმისაწვდომი გახადა ევროპელი მკითხველისათვის შოთა რუსთაველის ეს ერთადერთი ჩვენამდე მოღწეული და აქამდე ევროპის ლიტერატურული საზოგადოებრიობისათვის ნაკლებად ცნობილი ნაწარმოები.

ამ პოემის თარგმნისათვის (თარგმანი ცნობილ ქართველ მხატვარ ს. ქობულაძის 12 სურათით არის ილუსტრირებული და გამოსცა ბერლინში 1955 წელს გამომცემლობა „Rütten und Loening“-მა) დოქტორ ჰუგო ჰუპერტს, რომელიც ამჟამად ვენაში ცხოვრობს და სხვათა შორის „ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების“ ლიტერატურის სექციის თავმჯდომარეა, მიენიჭა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს პრემია.

დაჯილდოების სიგელში ნათქვამია: „ჰუგო ჰუპერტმა შეძლო თავისი ბრწყინვალე და ხატოვანი ენის საშუალებით არა მარტო ტექსტუალური სიზუსტით გადმოეცა ამ დიდი საგმირო პოემის შინაარსი, არამედ მიაღწია იმას, რომ გასაოცარი სისრულით გადმოსცა ამ ნაწარმოების თავისებური ფორმაც — რაც ესოდენ უჩვეულოა და უცნაურიც კი გერმანული ენისათვის“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა, ცნობილმა პოეტმა დოქტორმა იოჰანეს ბეხერმა, მადლობა გადაუხადა რა ჰუპერტს, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი სრულყოფილი თარგმანების საშუალებით გერმანელი მკითხველი ეცნობა რუსული ლიტერატურისა და საბჭოთა ხალხების ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს.

ჰუგო ჰუპერტს თარგმნილი აქვს აგრეთვე ვ. მაიაკოვსკის, ა. პუშკინის, ნ. ტიხონოვის, კ. სიმონოვისა და სხვათა ნაწარმოებები. გარდა ამისა, იგი ავტორია ლექსთა რამდენიმე კრებულისა, მათ შორის კრებულებისა „წლის დრონი“ და „მოგზაურის ქართული კვერთხი“.

# მ. ბოტვინიკი — ვ. სმისლოვი

მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში 9 აპრილს შედგა მსოფლიოს ჩემპიონის მ. ბოტვინიკისა და ვ. სმისლოვის მატჩის მე-15 პარტია. თეთრებით თამაშობდა გროსმაისტერი მ. ბოტვინიკი. მოწინააღმდეგეებმა გაითამაშეს ნიმცოვიჩის დაცვა. შეხვედრა ხასიათდებოდა მწვავე ბრძოლით. პარტიის გამწვავების მიზნით ვ. სმისლოვმა მსოფლიოს ჩემპიონს პაიკი შესწირა, მაგრამ ამით ბოტვინიკის მდგომარეობა არ გაუარესებულა; პირიქით, მან ხელთ იგდო ინიციატივა და თვალსაჩინო უპირატესობა მოიპოვა.

პარტია გადაიდო. მსოფლიოს ჩემპიონს ორი ზედმეტი პაიკი აქვს.

გუშინ, გადადებულ პარტიაში ვ. სმისლოვი ენერგიულად იცავდა თავს და ზუსტი თამაშით ყაიმს მიაღწია. მატჩის ანგარიში გახდა 8 : 7 ვ. სმისლოვის სასარგებლოდ. დღეს გაიმართება მე-16 პარტია.

# საქართველოს პირველობაზე

ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქების სტადიონებზე გრძელდება შეჯიბრება ფეხბურთში საქართველოს 1957 წლის პირველობაზე.

მესამე ტურის შედეგები ასეთია: „კოლმეურნე“ (ქობულეთი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 3 : 0, თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი — „ბურევესტნიკი“ (რუსთავი) 3 : 4, „კოლმეურნე“ (მახარაძე) — „დინამო“ (სოხუმი) 1 : 0, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — 26 კომისრის რაიონის გუნდი 1 : 0, „დინამო“ (გორი) — „დინამო“ (ქუთაისი) 3 : 0, „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1 : 1, „დინამო“ (ბათუმი) — „ვოდნიკი“ (ფოთი) 2 : 0.

# საჯარო ლექცია

12 აპრილს საღამოს 8 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებული ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 35) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილება აწყობს საზოგადოების წევრის დოცენტ შ. რევიშვილის საჯარო ლექციას თემაზე: „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიტერატურა.“

ლექციის შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოსურათი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

## საქართველოს რადიოგადაცემათა პროგრამა 12 აპრილისათვის

### პირველი პროგრამით

**რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით**

06.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 07.45 — პიესები ხალხურ საკრავთა ორკესტრისათვის, 08.00—ტრანსლაცია მოსკოვიდან, 08.20 — ვალსები, 11.00 — მასალები გაზეთ „ნორჩი ლენინელიდან“, 11.15 — ჩაიკოვსკის მეორე სიმფონია, 12.15 — საბჭოთა სიმღერები, 12.45 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები და რომანსები, 13.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 14.05 — გადაცემა სერიიდან „კონცერტი კამერული და სიმფონიური მუსიკის მოყვარულთათვის“ — დებიუსის სიმებიანი კვარტეტი სოლ-მინორი, 14.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — კორესპონდენცია „ნორჩ შემოქმედებთან“, 17.20 — საბჭოთა საოპერეტო მუსიკის კონცერტი, 18.15 — ქართული მუსიკის კონცერტი, 19.20 — ანასტას ჩაკალიდის კონცერტი, 19.40 — რადიოსადგურებით გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, თბილისის საქალაქო ქსელით — კამერული მუსიკის კონცერტი, 20.45 — ქართული პოპულარული მუსიკის კონცერტი.

**რადიოსადგურით 1571 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით**

21.00 — საუბარი: „საბჭოთა ვაჭრობა 1957 წელს“, 21.20 — მსუბუქი მუსიკის კონცერტი, 22.00 — ლიტერატურული გადაცემა — კონსტანტინე გამსახურდიას რომანი — „დავით აღმაშენებელი“ (გადაცემა მეორე), 22.25 — ოთარ თაქთაქიშვილის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის.

### მეორე პროგრამით

**რადიოსადგურით 59,52 მეტრ ტალღაზე**

21.00 — გადაცემა „კომპოზიტორი გლიერი“, 22.00 — საესტრადო მუსიკის კონცერტი.

**რადიოსადგურით 66,08 მეტრ ტალღაზე**

12.15 — გაზეთ „სოვეტაკან ჰაიასტანის“ მიმოხილვა, 18.15 — 19.00 — გადაცემა სომხურ ენაზე, 20.30 — 21.00 — გადაცემა აზერბაიჯანულ ენაზე.

## გადაწყვეტილება

### თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა

1957 წლის 13 მარტი.

### ვ. ი. ლენინის მოედანზე, რუსთაველის პროსპექტზე და ვ. ი. ლენინის ქუჩაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობისა და დგომის მოწესრიგების შესახებ

ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ავტომანქანების დგომის მოწესრიგების მიზნით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი **ადგენს:**

1. აიკრძალოს ყველა სახეობის ავტოტრანსპორტის დგომა ვ. ი. ლენინის სახელობის მოედნის, რუსთაველის პროსპექტისა და ვ. ი. ლენინის ქუჩის სავალ ნაწილებზე, გარდა ტაქსის გამოყენების ავტო-სატრანსპორტო კანტორის ავტომანქანებისა სასტუმრო „თბილისთან“ და ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე.

2. ნებადართულ იქნას ყველა სახეობის ტრანსპორტის ხანმოკლე გაჩერება აღნიშნულ ტრასაზე მგზავრების ჩასხდომისა და გადმოსხდომისათვის საჭირო დროის განმავლობაში.

3. ნება დაერთოს სატვირთო ავტოტრანსპორტს ერთი კვარტალის ფარგლებში მივიდეს ობიექტებთან და გაჩერდეს დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის საჭირო დროის განმავლობაში, მაგრამ არაუმეტეს 20 წუთისა.

ამ გადაწყვეტილების დამრღვევთ დაედებათ ადმინისტრაციული სასჯელი დადგენილი წესით თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილიციის სამმართველოს ქუჩებში მოძრაობის მომწესრიგებელი განყოფილების ხაზით.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის
თავმჯდომარე ა. მელაძე.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის
მდივანი შ. ბაქრაძე.

## დღეს თბილისის თეატრებში

**რუსთაველის სახელობის** — ეზოში ავი ძაღლია (11-IV-სათვის „შემოდგომის აზნაურებზე“ აღებული ბილეთებივარგისია 26-IV-სათვის), **მარჯანიშვილის სახელობის** — მაია წყნეთელი, **გრიბოედოვის სახელობის** — ხეები ზეზეულად კვდებიან, **სომხური დრამის** — მკვდრეთით აღდგომა, **მუსიკალური კომედიის** — დალი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — აჩაკუნე (აბონემენტი № 5, 10 ს.), ოქროს კავკოჩრიანები (აბონემენტი № 18, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ალისფერი ყვავილი (10 ს.), **ფილარმონია** — ებრაული მუსიკალური კომედიისა და დრამის ანსამბლის საღამო (საზამთრო თეატრი, 9 ს.).

### კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი, საქართველო** (წითელი დარბაზი) — როცა ბულბულები გალობენ, **ოქტომბერი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **ოფიცერთა სახლი** — ჩემი ქალიშვილი, **თბილისი, კომკავშირელი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — ანგელი მთებში, **სპარტაკი** — მკვლელობა დანტეს ქუჩაზე, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — წითელი და შავი (I და II სერია), **კოლხიდა,** — პარმის სავანე, **26 კომისრის სახელობის** — მირზა გალიბი, **დიდუბე** — კნოპკა და ანტონი, **ყაზბეგი** — ჟულიეტა, **კოლმეურნე** — მემკვიდრე, **კიროვის სახელობის პარკი** — ბატონი 420 (I და II სერია), **მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — გაცრუებული ოცნებები, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — მის მენდი (I და II სერია), **კომუნარების ბაღი** — გზა ეშაფოტისაკენ, **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — დოხუნდა, **ქრონიკა** — გოგონა და ნიანგი.

## თბილისის სამხატვრო აკადემია

**თბილისის სამხატვრო აკადემია** აცხადებს კონკურსს შემდეგ საშტატო თანამდებობათა დასაკავებლად:

**მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგის თანამდებობა** — 1 პროფესორის საშტატო ერთეული.

**გრაფიკის კათედრაზე:**

დოცენტი — 2 საშტატო ერთეული, უფროსი მასწავლებელი — 2,5 საშტატო ერთეული.

**ქანდაკების კათედრაზე:**

პროფესორი — 2 საშტატო ერთეული, დოცენტი — 2 საშტატო ერთეული, უფროსი მასწავლებელი — 0,5 საშტატო ერთეული.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები ორი ფოტოსურათით და დოკუმენტებით შემოტანილ უნდა იქნას სამხატვრო აკადემიის დირექტორის სახელზე.

განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის ნოტარიულად შემოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებასა და ხარისხში დამტკიცების დოკუმენტების ნოტარიულად შემოწმებული პირები, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია, რეცენზიები და მათზე გამოთქმული აზრები ან ცნობები შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.

საკონკურსო მასალების წარმოდგენის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

**თბილისის სამხატვრო აკადემიის მისამართი: ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 22.**

## ტელეგადაცემათა პროგრამა 11 აპრილისათვის

20.00 — მოსწავლეთათვის — ა. პ. ჩეხოვის მოთხრობის „სქელი და თხელის“ სატელევიზიო დადგმა. 20.15 — კინოჟურნალები „ხელოვნება“ № 2 და „უცხოეთის კინოქრონიკა“ № 4. 20.35 — მხატვრული ფილმი „ვეფხვების მომთვინიერებელი“. (მაყურებელთა თხოვნით).

## დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს **კონკურსს** ინსტიტუტის ავადმყოფთა მიმღები განყოფილების გამგის თანამდებობაზე. მსურველს უნდა ჰქონდეს მეან-გინეკოლოგიაში მუშაობის კლინიკური სტაჟი არანაკლებ 5 წლისა და სამეცნიერო შრომები. განცხადება მიიღება დირექტორის სახელზე. შემოტანის ვადაა ორი კვირა დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

## თბილისის ფოსტამტს

ესაჭიროება **ფოსტალიონები**

ცნობებისათვის მიმართეთ კადრების განყოფილებაში — პლეხანოვის პროსპ. № 44.

ადმინისტრაცია

მოქალაქე **გურამ გერასიმეს-ძე მეტრეველმა,** მცხოვრებმა კახეთის გზატკეცილი № 15, აღძრა საქმე სოხუმის ქ. № 7 მცხოვრებ მოქალაქე **ლილიან ილიას ასულ ამაშუკელთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **გურგენ ვარდენის-ძე კარაპეტიანმა,** მცხოვრებმა ლისის ქ. № 44, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ოლღა ლევანის ასულ სარქისიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლო.

დედა მინადორა, მეუღლე მიხეილ შვილებით, ძმა ვალიკო ოჯახით იუწყებიან

**ლიუდმილა ჩოგოვაძე-მიქაბერიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-IV, 5 ს. ქ. ქუთაისში, გამოსვენება ბინიდან, წერეთლის ქ. № 109.

შვილები ლეილა, გულჩორა; დავით ლოსაბერიძე ოჯახით იუწყებიან

**ოლღა გრიგოლის ასულ ლოსაბერიძე-კუპრაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12-IV, 8 ს. გამოსვენება 13-IV, 5 ს. ევდოშვილის ქ. № 7.

მეუღლე ლუბა, შვილი დოდო, ძმა გიორგი, სიძე კ. გორდელაძე, რძალი ა. პანტურაია ოჯახებით იუწყებიან

**ათანასე პავლეს-ძე პანტურაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-IV, 8 ს. გამოსვენება 14-IV, 2 ს. პლეხანოვის პროსპ. № 120.

მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის მუშაკთა კოლექტივი იუწყება

**სტეფანე ილიას-ძე პავლიაშვილის**

გარდაცვალებას.

ილია, სერგო, ალექსანდრე ღვამიჩავები ოჯახებით იუწყებიან

**მინადორა ბართლომეს ასულ ღვამიჩავა-იმედაშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 11-IV, 5 ს. პასტერის ქ. № 10.

დედა ალექსანდრა, მეუღლე ბაგრატ, შვილი ნერი, ძმები ვანო, ლეო, ოთარ, და ნორა ოჯახებით იუწყებიან

**ნინო პავლეს ასულ ქურდაძე-დაბრუნდაშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-IV, 4 ს. სოფ. ქარელში.

შვილები ალიოშა, ზინა, ელენე, ნადია, რუსუდან, რძალი დარია, სიძეები ვ. ჭკუასელი, ა. გოგაძე, ა. ქათამაძე ოჯახებით იუწყებიან

**ანეტა სიმონის ასულ ტუსკია-მახარაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-IV, 8 ს. გამოსვენება 14-IV, 4 ს. ფარკოფელის ქ. № 52.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის თანამშრომლები იუწყებიან

**ევა ვასილის ასულ კაციტაძის**

გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88. ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელის—3-57-61, პრესის მიმოხილვისა და პარტბიუროსი—3-51-65, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების—3-64-42, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.



უე 01398 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.